ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 2 მარტი 2004 №46 (2065) ფასი 50 თეთრი



რა უნდა ომში ექსპერიმენტს?

რუსებთან ჭაუას და ძველებს მოვუხმეთ

რუსეთთან თამაშამდე ხუთი დღით ადრე საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ტრადიციულად მცხეთაში დასცა ბანაკი. არის 22-კაციანი სიაც, რომელშიც ზუსტად ნახევარი „ფრანგი“ ლეგიონერი გახლავთ. ჩამოვიდნენ ჯერაც არდავიწყებული სახელები — მევლუდ მთიულიშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, გია ლაბაძე, პალიკო ჯიმშელაძე... ეს ის ხალხია, რომელთაც არაერთ საქართველო—რუსეთის ხორცსაკეპში გამოუვლია. დიდებულიძეს და ლაბაძეს ნაკრებში თამაშისთვის თავიც გაენებებინათ, მაგრამ ძველ მეტოქესთან ჯახზე დაძახებულებმა არ დაიხიეს და გაჭირვებაში მეგობრებს და დროშას ზურგი არ აქციეს.

დღეს მცხეთაში საქართველოს იდეალური ნაკრები არაა შეკრებილი თუნდაც იმიტომ, რომ ტრავმებმა ბარე ხუთიოდე ძირითადი მოთამაშე გამოაკლო, მაგრამ, ფაქტობრივად, ესაა საუკეთესო გუნდი, რისი შეკრებაც მოხერხდა. რუსეთთან თამაშის შედეგი ნაკრების მწვრთნელთა კვარტეტისთვისაც ძვირფასია და ჯერ მხოლოდ ზიანის მომტანი ექსპერიმენტებიც დროებით შეჩერებულია. ერთიც ვთქვათ, ამ კრებულით გარანტირებული არ გვაქვს მუდამ ავტომატივით ჩახმახზე შეყენებული რუსების დამარცხება. მაგრამ ისიც გვჯერა, ბორჯღალოსნები ამ გუნდით ერთა თასს ორი წაგებით არ დაიწყებდნენ.

ჟორდანიას მეორე მე პენსიაზე გავიდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ თანამდებობა დატოვა

— ვალერი ჩოლარია ხვალიდან ფედერაციაში აღარ მუშაობს. 55 წლის ვარ და პენსია გავაფორმე. მერაბ ჟორდანიასთან არავითარი უთანხმოება არ მაქვს. ჩვენ ადრეც გვქონდა საუბარი სამსახურიდან ჩემი წასვლის თაობაზე, დღეს კი საბოლოოდ შევხვდი და მან ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა.

ფედერაციიდან წავედი, მაგრამ არ მივდივარ ფეხბურთიდან. აწი კახი ასათიანის სახელობის საქველმოქმედო ფონდში ვიმუშავებ. ვიცე-პრეზიდენტი ვარ.

ჩემს მემკვიდრეზე ლაპარაკი არ ყოფილა. ახალი გენერალური მდივნის პოვნა იოლი საქმე არაა და ეს საკითხი ერთ-ორ დღეში, ალბათ, ვერ მოგვარდება.

ფიფა-უეფაში ფედერაციიდან ჩემი წასვლის თაობაზე ჯერ არაფერი იციან, თუმც მათ ამ ამბავს ამ დღეებში შევატყობინებ. სამსახურეობრივი საქმეების გარდა, ფიფა-უეფას თანამშრომლებთან მეგობრული ურთიერთობებიც მაკავშირებს. ჩემი გადაწყვეტლების თაობაზე ჯერ არც ფედერაციის თანამშრომლებმა იციან. მათ დღეს-ხვალ დავემშვიდობები, სხვებს კი პრესის საშუალებით...

ვინც მუშაობს, მას ყოველთვის აქვს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ფედერაციიდან წასვლას კი არ განვიცდი, რადგან მიმაჩნია, რომ დამნახავი ჩემს შრომას დაინახავს და შესაბამისად შეაფასებს. ჩემი გენმდივნობის დროს ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ გაკეთდა. აშენდა ოფისი და ბაზა

გათავისუფლების თაობაზე დაწერილი მისი განცხადება პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გუშინ დააკმაყოფილა. გუშინვე ჩოლარიამ პრესკონფერენცია გამართა და თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა. გათავისუფლების მიზეზი მას არ დაუკონკრეტებია, მოკლედ თქვა — პენსიაზე წავედი.

55 წლის ვალერი ჩოლარია, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, რომელიც ფედერაციის გენერალური მდივანი 1998 წლიდან, მერაბ ჟორდანიას გაპრეზიდენტებიდან იყო, თანამდებობის დატოვებას კარგა ხანია, აპირებდა, თუმც ამას ხმამაღლა არ ამბობდა. არ ამბობდნენ არც მისი მეგობრები, მაგრამ კულუარებში ეს არ იმალებოდა. ისიც ითქვა, ევროპიდან ჩამოსული მერაბ ჟორდანია ჩოლარიას თანამდებობაზე არ დატოვებსო. პრეზიდენტი ევროპიდან გუშინწინ ჩამოვიდა, გუშინ კი ჩოლარიას შეხვდა და მის განცხადებას ხელი მოაწერა. მერაბ ჟორდანია გენმდივნის გათავისუფლებაზე ჯერჯეროობით კომენტარისგან თავს იკავებს, თავად ვალერი ჩოლარიამ კი, ან უკვე ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, გუშინ თქვა...



ნაკრებისთვის, შევიძინეთ ტრანსპორტი, რეგულარულად ვიღებდით ფინანსურ დახმარებას ფიფა-უეფადან...

ფედერაციიდან ვიცე-პრეზიდენტ ლერი სულაბერიძის წასვლასა და ჩემს დღევანდელ გადაწყვეტილებას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. უბრალოდ, დამთხვევაა ასეთი. პარალელებს ნუ გაავლებთ.

ნაკრების მწვრთნელთან დაკავშირებით აზრი არც ახლა შემიცვლია. ვფიქრობ, რომ შუშაკი ჟირესზე ნაკლებ კვალიფიციური მწვრთნელი არ არის. ჩოლარია ორივეს პატივს სცემს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ძალიან სერიოზული საკითხია და ჯერ ვერ გეტყვით, მივიღებ თუ არა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. ვიფიქრებ.

ვიდრე გენერალური მდივანი ამ განცხადებებს გააკეთებდა, ორიოდ სიტყვით იმ საქმეებზეც თქვა, რაც გენმდივნობისას ბოლოს გააკეთა.

— გადაწყვეტილია, რომ ფედერაცია უეფასგან საიუბილეო გრანტს მიიღებს. უეფა ოთხი წლის განმავლობაში ფედერაციას მინი-მოედნების მოსაწყობად მილიონ შვეიცარიულ ფრანკს გამოუყოფს.

— თბილისის „დინამოდან“ წასული ამისულაშვილის, ალექსიძისა და დარასელიას სატრანსფერო ფურცლები ფედერაციიდან ფეხბურთელთა ახალ გუნდებში გაგზავნილია. შეფერხება იმის ბრალი იყო, რომ მეც და

მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველი მცველი ვალერი აბრამიძე, სავარაუდოდ, გროზნოს „ტერეკში“ გააგრძელებს კარიერას. ტრანსფერზე დაყენებული ჩვენებური რახანია, სასურველ კლუბს ეძებს და აგერ, წინადადება რუსული პირველი დივიზიონიდან მიიღო

აბრამიძეც ჩეჩნეთის გზაზე

მხარეები თითქმის ყველაფერზე შეთანხმებულნი არიან, თუმც „ტერეკი“ აბრამიძისგან საბოლოო პასუხს ელის. ამ ამბავს დღეს დაესმება წერტილი — გროზნოელები შეკრებაზე ანთალიაში მიდიან და თუ მათ შორის აბრამიძეც იქნება, მაშინ ტრანსფერიც შედგება.

„სპარტაკი“ ჩვენებურთან კონტრაქტის გაწყვეტას მაინც არ აპირებს: შეთანხმებულია, რომ აბრამიძე „ტერეკში“ ერთწლიანი იჯარით ითამაშებს.

შეგახსენებთ, გროზნოს კლუბი კიდევ ერთ ქართველს, ლევან სილაგაძესაც ეპატიჟება. მართალია, ეს საკითხიც არაა ბოლომდე გადაწყვეტილი, მაგრამ დიდი შანსია, სილაგაძეც ჩეჩნეთის გზას დაადგეს. ყოველ შემთხვევაში, ლევანის მოსურნე და კრიზისში მყოფ კიევის "არსენალში" დღესაც გაურკვეველი მდგომარეობაა.

ასე რომ, რუსულ პრემიერლიგაში გადასასვლელად მებრძოლ „ტერეკში“ ახალი ქართული ბუდე შენდება. გაგრძელება იქნება?

კახა შალამბერიძე

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური

ტრირი 4:2 ლიუბეკი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XX ტური

ჰამბურგი (მ) 1:0 ბრაუნშვაიგი

პორტუგალია

სუპერლიგა. XXIV ტური

ბრაგა 0:0 ალვერკა

აკადემიკა 0:1 პორტუ

ჰოლანდია

II დივიზიონი. XXV ტური

ჰელმონდი 3:3 დენ ბოსხი

დავით ყიფიანის თასი

მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

მეკარე კარში უნდა იდგეს

თბილისი. 1 მარტი. 14 საათი. ეროვნული. 300 (ტევადობა 70 900)

ვიტ ჯორჯია მცხ. 1:3 დინამო (0:3)

0:1 ახალაია (19), 1:1 მუჯრიშვილი (69პ), 1:2 ანჩაბაძე (69), 1:3 ბობოხიძე (76)

ვიტ ჯორჯია-მცხ.: მუჯრიშვილი (თვალაბეიშვილი 84), დ. ლომაია, კვახაძე, ბეროშვილი, ზ. მეტრეველი (ბექვაია 86), ბუჯიაშვილი, ჯოჯუა, ცხომარია (პირველი 86), ლ. მანწკავა, ბდეიშვილი, ხარბედია	დინამო: ზოიძე, კარლოსი (მ. ბობოხიძე 74), შაშიაშვილი, წერეთელი, კანდელაკი, კვირკველია, ნემსაძე (კაშია 67), გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ახალაია, ს. იაშვილი (ჰომერო 46)
სათადარიგოები: სოზაშვილი, ჯაფარიძე, თალაშვილი, გულბათაშვილი	*სათადარიგოები:* გვარამაძე; ექონია, ხმალაძე, მელქაძე
მწვრთნელი: ირაკლი უშვერიძე	მწვრთნელი: ივო შუშაკი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. მჭედლიშვილი

მცხეთური „ვიტ ჯორჯიას" მეკარე მუჯრიშვილს დინამოელებმა გატანილი ბურთით გახარება არ აცალეს, უმალვე გაუტანეს

დავით ერაძე

შეხვედრის დაწყებამდე „დინამოს" გუნდის უფროსს გია იმნაძეს კლუბში მუშაობის თხუთმეტწლიანი იუბილე მიულოცეს. იყო საჩუქარი და ყვავილები...

ამ შეხვედრის ბედი მეტოქეთა პირველ დაპირისპირებაში გადაწყდა, როდესაც დინამოელებმა სამბურთიანი ფორა მოიპოვეს. საკითხავი ისღა იყო, შეძლებდა თუ არა ვეტერინართა ცვლა გოლის გატანას.

„დინამოს" წერეთელი დაუბრუნდა. მან ჩვეული ადგილი დაიკავა და ახალაიას წინ თამაშის საშუალება მიეცა. ლადომ მე-19 წუთზე გაიხსენა, რომ ოდესღაც თავდამსხმელიც იყო — მეტრეველისა და მუჯრიშვილის შეუთანხმებლობით ისარგებლა, ბურთი ჩაჭრა და ცარიელ კარში შეაგორა. 25-ე წუთზე კი მეშკოვს ახალაიას წაქცევისთვის პენალტის დანიშვნაც შეეძლო. სამ წუთში ისევ ახალაია იყო მიზანთან ახლოს: კარლოსის ჩინებულ პასს თავი შეაგება, მაგრამ კარს ააცილა. დინამოელთა კართან პირველ ტაიმში ერთხელ შეიქმნა საგოლე სიტუაცია, ცხომარია ზოიძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ვერ აჯობა.

მეორე ტაიმში შუშაკმა ბრაზილიელი ჰომერო გამოიყვანა. იგი იაშვილის ნაცვლად შევიდა და ორჯერ დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ორჯერვე აქცენტი ძლიერ დარტყმაზე გააკეთა და ბურთი მუჯრიშვილს მოარტყა.

69-ე წუთზე ზოიძემ ადეიშვილი წააქცია. თერთმეტმეტრიანის დარტყმა ვიტელთა მეკარე მუჯრიშვილმა ითავა. მან კოლეგას პენალტი უნაკლოდ კი დაურტყა, მაგრამ გახარებულს თავისი უშუალო მოვალეობა გადაავიწყდა. დინამოელებმა ბურთი ცენტრში გაათამაშეს, ანჩაბაძემ 45 მეტრიდან მუჯრიშვილს ბურთი თავზე გადაუგდო და „დინამო" ისევ დაწინაურდა 2:1. მომენტმა მცირერიცხოვანი მაყურებელიც გაამხიარულა.

შეხვედრის ბოლო გოლი კი მოედანზე 7 წუთის შემოსულმა ბობოხიძემ გაიტანა. მან 76-ე წუთზე კვირკველიას პასი შეირგო, საჯარიმოში შეიჭრა და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

დინამო და ლოკომოტივი დაჯენტლმენდნენ

თბილისის „ლოკომოტივი" ოთხი დინამოელით — ირაკლი ვაშაკიძით, ზურაბ მამალაძით, გიორგი მიქაძით და არჩილ სახვაძით გაძლიერდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რკინიგზელთა კლუბში კიდევ სამი ექსდინამოელია (რამაზ სვანაძე, გიორგი მანწკავა და ზაზა ზირაქიშვილი), უნდა ვივარაუდოთ, რომ „ლოკომოტივს" წლეულსაც შეეძლება მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა

ყველაზე მოულოდნელი არჩილ სახვაძის „ლოკომოტივში" განათხოვრების ამბავია. მან „დინამოსთან" ერთად ორივე შეკრება გაიარა და „ვიტ ჯორჯიასთან" პირველ სათასო მატჩში 18-კაციან განაცხადშიც იყო შეყვანილი, მაგრამ... „ამ ეტაპზე ჩემთვის ნამდვილად აჯობებდა, ისეთ გუნდში გადავსულიყავი, სადაც თამაშის პრობლემა არ მექნებოდა. კლუბის ხელმძღვანელობას მივმართე თხოვნით, რათა „ლოკომოტივში" გავენათხოვრებინე" — გვითხრა თავად ფეხბურთელმა.

სახვაძემ „ლოკომოტივის" შემადგენლობაში რუსთავის „გორდას" წინააღმდეგ უკვე ითამაშა და სხვა დინამოელ, გიორგი მიქაძესთან ერთად საუკეთესოც იყო. თავის მხრივ, თბილისის „დინამომაც" თავი დაიზღვია. „დინამოს" მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა ის ჯენტლმენური გარიგება გაგვაცნო, რომელიც კლუბებს შორის შედგა:

„ჩვენმა კლუბმა „ლოკომოტივს" ოთხი კონტრაქტიანი ფეხბურთელი ათხოვა ¬ მამალაძე, ვაშაკიძე, სახვაძე და მიქაძე. ამიტომ „ლოკომოტივთან" დავდეთ ეგრეთ წოდებული ჯენტლმენური ხელშეკრულება, რომლის თანახმად გუნდის ხელმძღვანელობამ „დინამოსთან" მატჩისას ამ ოთხი ფეხბურთელიდან მხოლოდ ორი უნდა გამოიყენოს. ვისზე შეაჩერებენ არჩევანს, ეს მათი გადასაწყვეტია. საერთოდ, ასეთი მეთოდი სხვა ევროპულ კლუბებშიც აპრობირებულია".



არჩილ სახვაძე

ბოლოს იმასღა დავძენთ, რომ 17 მარტს ეროვნული ჩემპიონატი „დინამო" — „ლოკომოტივის" დაპირისპირებით განახლდება.

დავით ერაძე

რუსთავი. 1 მარტი. 14 საათი. ფოლადი. 500 (ტევადობა 12 000)

გორდა 0:4 ლოკომოტივი (3:3)

0:1 ძამსაშვილი (30), 0:2 დათვაძე (54), 0:3, 0:4 მიქაძე (58, 70)

გორდა: ჯანიაშვილი, არსოშვილი, ზაზაშვილი (ვ. ჩხაიძე 60), შუბითიძე, მიქაძე, ფეიქრიშვილი, ნ. ლაბაძე, გ. კილასონია, მიქავა (ზ. ლაბაძე 65), წუწუნავა, ბეჟაშვილი (ბარბაქაძე 46)	ლოკომოტივი: მამალაძე, ზამთარაძე, ი. ვაშაკიძე, გ. [illegible], სანვაძე, ძამსაშვილი, გოგინაშვილი (ნანიკიძე 44), სოსელია (ლილუაშვილი 78), დავითულიანი, დათვაძე, გ. ვ. მიქაძე (ზირაქიშვილი 73)
სათადარიგოები: თაბუკაშვილი; გაბრიჭიძე, ხატიაშვილი, მეტრეველი	*სათადარიგოები:* ხაჩირაშვილი; მორჩილაძე, ჟღენტი
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია	მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

გაფრთხილება: გ. კილასონია (54)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე; მ. მალაღურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. ოქროშიძე

მიქაძე შოუ

გორდა ვაკეში დარჩა



გიორგი მიქაძე

ზაურ სვანაძე

დავით თავართქილაძე რუსთავიდან

ამ გუნდების პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, „გორდას" მერვედფინალში გასვლის რიგიანი შანსი ჰქონდა, მაგრამ რუსთავი „ფოლადის" სტადიონზე არ მოვიდა — სხვათა გარდა ვარლამ კილასონიას გუნდს გულშემატკივრის მხარდაჭერაც აკლდა.

ზაურ სვანაძის „ლოკომოტივმა" კი ვაკეში დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეორა — დაცვა გაცილებით მობილური იყო, რაც გუნდში ირაკლი ვაშაკიძის დაბრუნებამაც განაპირობა.

„ლოკომოტივმა" თბილისის „დინამოდან" არჩილ სახვაძეც ითხოვა და ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგიც გაიმაგრა — პირველ ტაიმში მისი აქტიურობით „ლოკომოტივი" კარგ მჯიღს ჰკრავდა მეტოქეს და საერთოდ, თამაში სტუმრებისა იყო — რამდენიმე დღის წინანდელი, ვაკელი „გორდა" კი აღარ ჩანდა.

სამაგიეროდ, კვლავ იჩაუქა ლოკომოტიველმა გიორგი მიქაძემ — სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა არეულობა „გორდას" საჯარიმოში და იქიდან უკუგდებულ ბურთზე ზურაბ ძამსაშვილის საგოლე დარტყმა.

მეორე ტაიმიც „ლოკომოტივის" შეტევებით დაიწყო, თუმც „გორდას" ერთ-ერთ კონტრშეტევას სადავო ეპიზოდი მოჰყვა — ზურაბ მამალაძე კარიდან გამოვიდა და ზედ საჯარიმო მოედნის ხაზთან დაიჭირა ჩაწოდებული ბურთი — მატჩის არბიტრმა ავთანდილ შალამბერიძემ თამაში გააჩერა და ჯარიმის დანიშვნას აპირებდა, მაგრამ ლაინსმენ მამუკა ურუშაძესთან კონსულტაციის შემდეგ ჯარიმა აღარ დანიშნა, რამაც „გორდას" და მისი ქომაგების აღშფოთება გამოიწვია. ისე, სადავო სიტუაციები „გორდას" საჯარიმოშიც იყო — ლოკომოტიველები ორჯერ მოითხოვდნენ 11-მეტრიანის დანიშვნას.

თამაში კი მაშინ მორჩა, როცა „ლოკომოტივმა" მეორე გოლი გაიტანა — სოსელიამ, დათვაძემ და მიქაძემ სწრაფად და ლამაზად გათამაშებული კომბინაციით რეტი დაასხეს „გორდას" დამცავ ეშელონს — დათვაძემ ფაქტობრივად ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

მერე მიქაძის გოლების ჯერი დადგა — მან თითქმის ერთი და იმავე ადგილიდან დაუშინა ბურთები ჯონი ჯანიაშვილს — ჯერ შორეულ, მერე ახლო კუთხეში და 0:4.

რუსთაველებს შეეძლოთ იმ გოლის გატანა, რაც საშულებას მოგვცემდა, გვეთქვა, პრესტიჟისა იყოო, მაგრამ კახა წუწუნავამ შანსი გაანიავა — მიზანმა უმტყუნა.

ლაგოდეხი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

სკ თბილისი 0:1 მცხეთა (0:1)

ჭაბუკიანი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

ჰერეთი 1:0 ცხინვალი (1:2)

ზესტაფონი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

მეტალურგი 0:1 მერცხალი (0:0)

გრიგოლეთი. 1 მარტი. 14 საათი. საწვრთნელი ბაზა

გურია 1:2 ტორპედო (0:5)

ბათუმი. 1 მარტი. 14 საათი. ადელი

ლუკა 0:1 სამგურალი (0:0)

საქმიანი შეხვედრები ქართველებისთვის

ქართველებმა ევროპაში გაილაღეს. ამ უქმეების ქართული მონაგარი ხუთი გოლი და ალაპარაკებული ჟურნალისტები არიან.

ჰოლანდიაში გრძელდება სერიალი „გოგა“. „ტვენტემ“ გახოკიძის ჩინებული თამაშის წყალობით შეძლო მესამეადგილოსანი „ალკმაარის“ ბეჭებზე დაგდება. გახოკიძემ ჯერ თანაგუნდელს გაატანინა, მერე კი ნკუფოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა და მატჩის ბოლომდე ყველაზე აქტიური იყო მოედანზე. მერამდენე მატჩია, „ტვენტე“ ქართველი ნახევარმცველის ხარჯზე იგებს, რაც ჰოლანდიელ მიმომხილველებსაც არ გამორჩენიათ — ენსხედელთა ყველაზე ძვირფას შენაძენად დღემდე გახოკიძე და რამზი ითვლებიან.

„ტვენტე“ კი მეშვიდე ადგილზეა და ჯერაც კარგი შანსი აქვს, უეფას თასის საგზური მოიპოვოს. თუ გახოკიძემ და კომპანიამ ასე გააგრძელეს, არც ეს მიზანი იქნება მიუწვდომელი.

პენალტით იხეირა ლევან ცქიტიშვილმაც. „ფრაიბურგის“ აქილევსის ქუსლი მუდამ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ზუსტი დარტყმა იყო. ამის გამო წინა სეზონებში ფოლკერ ფინკეს გუნდმა ბლომად ქულები ანიავა. ახლა კი „ფრაიბურგს“ წამლად ცქიტიშვილი მოევლინა, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა და თებერვალში უკვე ორი მატჩი მოაგებინა გუნდს. „კაიზერსლაუტერნთან“ ჯახში ალექსანდრე იაშვილი შედარებით პასიური კი იყო, თუმც „ფრაიბურგისთვის“ მაინც შეუცვლელი ფეხბურთელია.

არასტაბილური „შალკე“ სტუმრად „შტუტგარტს“ დაუზავდა და მეშვიდე ადგილი შეინარჩუნა. გელზენკირხენელთა შანსებზე საუბარი რთულია ამ გუნდის კარდიოგრამასავით ცვალებადი შედეგების გამო, თუმც მწვრთნელი იუპ ჰაინკესი დღევანდელი ყოფით უკმაყოფილო არ უნდა იყოს. ლევან კობიაშვილმა მარცხენა ფლანგი 90 წუთი აკონტროლა, ეგაა, ყვითელი ბარათი მიიღო.

გამოჯანმრთელებულ-ათამაშებულმა კახა კალაძემ და მისმა „მილანმა“ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს სკუდეტოსკენ. შავ-წითლებმა სტუმრად ურთულესი სამი ქულა აიღეს „ლაციოსთან“ (1:0) და ამით „რომს“-„იუვენტუსს“ მიახლოვების შანსი მოუსპეს. კალაძემ სრულად ითამაშა და ჩვეულად ცდილობდა მასპინძელთა შეტევების მარჯვენა ფლანგის ჩაკეტვას.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო სამეოთხედფინალო მატჩამდე (ფრანგულ „მონაკოსთან“) ქვეყნის თასის მერვედფინალში გასვლა მოასწრო. რკინიგზელებმა შარშანდელი საშინაო 4:0-ის შემდეგ გუშინწინ სტუმრადაც დაამარცხეს „ხიმკი“ — 1:0. მიხეილ აშვეთია მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე, მალხაზ ასათიანმა კი სრულად ითამაშა და საკმაოდ აქტიურადაც. პირველ ნახევარში ასათიანი დაცვის ცენტრში იდგა, მერე კი იური სიომინმა გამთამაშებლობა დააკისრა და, რუსი ჟურნალისტების თქმით, ჩვენებურმაც ამოისუნთქა. ასათიანმა ორჯერ მეკარეს შეატოვა უინსტონ პარკსი, მაგრამ კოსტარიკელმა ვერ ივარგა.

თემურ ქეცბაიამ პირველად წაგო „ანართოსისის“ მწვრთნელის რანგში. მართალია, თავად ქეცბაიამ გოლი გაიტანა, თუმც „ომონიამ“ ამას ორით უპასუხა და სამი ქულაც შინ დაიტოვა. გიორგი გაბიდაურმა სრულად ითამაშა, კლიმენტი წიტაიშვილი კი 51-ე წუთზე შეცვალეს.

მეთორმეტე მატჩში მეათედ შეაგდო ლევან ქებაძემ. „პარალიმნიმ“ 2:1 სძლია „აპოლონს“ და მეექვსე ადგილამდე აიწია. ქებაძე კი „პარალიმნის“ საუკეთესო მეგოლეა და შესაძლოა, ლიგის ბომბარდირობასაც გამოჰკრას ხელი.

„ონისილოსს“ გიორგი ქორიძის გოლმა ვერ უშველა. „დიგენისმა“ 4:1 დაამარცხა ქორიძის გუნდი. ეს სეზონში მერვე გოლი იყო გიორგისთვის.

კახა შალამბერიძე

გოგა გახოკიძე „ტვენტესთვის“ ძალიან საჭირო კაცია

სახელი გვარი	გუნდი		სად მეტოქე						
				ნთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	ლაციო 1:0	90		4	0	1
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	შტუტგარტი 0:0	90	გააფრთხილეს	21	0	7
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ლაუტერნი 1:0	89	შეცვალეს	20	6	10
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ლაუტერნი 1:0	90	1 გოლი, გააფრთხილეს	18	3	10
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	ს	ნიურნბერგი 0:2	68	შეცვალეს	21	6	15
დავით სირაძე	უნიონი	შ	დუისბურგი 2:1	0	სათადარიგო	2	0	14
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	ადმირა 0:0	90	გააფრთხილეს	14	0	9
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	დანდი იუნ. 0:2	0	ტრავმირებულია	16	12	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	დანდი იუნ. 0:2	0	განაცხადში არ იყო	15	0	2
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	შ	ალკმაარი 4:1	90	1 გოლი, საგოლე პასი	22	2	7
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	აარაუ	ს	ვილი 1:1	0	ტრავმირებულია	2	3	6
რუსეთი. თასის მეთექვსმეტედფინალი								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ხიმკი 1:0	90				
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	ხიმკი 1:0	45	შეცვლაზე ითამაშა			
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	ს	ლიტექსი 0:1	0		0	0	4
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	ბოტევი 3:1	4	შეცვლაზე ითამაშა	5	1	7
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	ს	ომონია 1:2	90	1 გოლი	16	6	5
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	ს	ომონია 1:2	90		4	1	5
კლიმენტი ნიტაიშვილი	ანართოსისი	ს	ომონია 1:2	51	შეცვალეს	3	3	5
ლევან ქებაძე	პარალიმნი	შ	აპოლონი 2:1	90	1 გოლი	12	10	6
ლევან მაღრაძე	აელ	შ	ოლიმპიაკოსი 2:1	90		14	3	4
გიორგი ქორიძე	ონისილოსი	ს	დიგენისი 1:4	90	1 გოლი	15	8	13

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

რატომ აღარ ჩანს ზურაბ ხიზანიშვილი „რეინჯერსის“ სამატჩო განაცხადში? ხიზანიშვილს გუშინ ამის გამო დავურეკეთ და დანარჩენს ინტერვიუში ამოიკითხავთ

— ვარჯიშებზე ნორმალურად ვირჯებოდი და შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „დანდი იუნაიტედთან“ უნდა მეთამაშა, მაგრამ აღმოჩნდა, განაცხადშიც არ ვარ. თუ ადრე ერთ-ორჯერ ვერ მოვხვდი შემადგენლობაში, ეს შეგვეძლო, რომ ჩემი ტრავმისთვის დაგვებრალებინა, ახლა კი...

— ახლა „რეინჯერსის“ დამრიგებელ ალექს მაკლიში შენით უკმაყოფილოა?

— არ მგონია.

— აბა, რაშია საქმე?

— არ მინდა, რაღაც-რაღაცეები ვიფიქრო...

— ამ თემაზე არ გისაუბრიათ შენ და მაკლიშს?

— „დანდი იუნაიტედთან“ მატჩის წინ მაკლიშმა შემადგენლობა რომ გმოაცხადა, რამდენიმე სიტყვით მითხრა, შენ ასეთი და ისეთი ხარო, მოკლედ, შემაქო. ვერ გავიგე, ამაში რა იყო ჩადებული. დარწმუნებული ვარ, მაკლიში მალე საფუძვლიანად დამელაპარაკება, მანამდე კი გაურკვევლობაში ვარ.

— „რეინჯერსში“ ფრანკ დე ბური რომ მოვიდა, ამის ბრალი ხომ არაა შენი ძირითადში არყოფნა?

— ფრანკი დიდი ფეხბურთელია დიდი გამოცდილებით და მისი სკამზე დასმა ძნელია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ ახალგაზრდა ფეხბურთელით უკმაყოფილო არ ხარ, მასაც უნდა მისცე თავის გამოჩენის შანსი. ზოგი დღევანდელი დღით ცხოვრობს, ზოგიც წინ იხედება.

— თუ ეგრეა, ხომ შეგიძლია, შენს აგენტს მიმართო სხვა გუნდში გადასვლისთვის?

— ათოლ სტილთან კონტრაქტი დამიმთავრდა და სურვილი არ მაქვს, ის ჩემ საქმში ერთხელაც ჩავრიო. სიტუაცია შეიცვალა, ახლა აქეთ მეხვეწებიან...

— გასაგებია, მაგრამ ფეხბურთელს მარტო ძალიან არ გაუჭირდება იმ საქმეების მოგვარება, რასაც აგენტმა უნდა მიხედოს?

— მარტო ამის გაკეთება მართლაც ძალიან ძნელია, მაგრამ არ ვჩქარობ ახალ აგენტთან ხელშეკრულების დადებას. „რეინჯერსი“ ისეთი გუნდია, რომ ფეხბურთელის მთხოვნელი კლუბები აქეთ გამოჩნდებიან.

— შენით „რეინჯერსზე“ დიდი გუნდების დაინტერესებაზე რომ იყო ლაპარაკი, ამ მხრივ არის რამე სიახლე?

— ამ ინფორმაციას მე ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ, რადგან ჩემთან რომელიმე სხვა გუნდის წარმომადგენელი არავინ მოსულა.

დავით თავგართქილაძე

კიეველები ამერიკულ მეტროში გაიჭედნენ

კიევის „დინამომ“ ლა მანგას თასზე ასპარეზობა დაასრულა. ჯგუფიდან გასული უკრაინის ჩემპიონი ამერიკულ „მეტროსტარზთან“ 2:3 დამარცხდა. პირველი ტაიმი „დინამომ“ 0:2 წააგო. მეორეში კიეველებმა ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ 73-ე წუთზე სალლიჩმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

კიეველთა რიგებში არ უთამაშია ალეკო ამისულაშვილს, რაც ფეხბურთელმა ასე აგვიხსნა: „მიხაილიჩენკომ გადაწყვიტა, რამდენიმე მოთამაშე დაესვენებინა, მათ შორის მეც“.

კიეველები ლა მანგადან შინ დაბრუნდნენ და ახლა „კონჩა ზასპას“ ბაზაზე განაგრძობენ მზადებას, 7 მარტს კი უკრაინის თასზე „დნიპროს“ შეხვდებიან. სავარაუდოდ, ამისულაშვილის ოფიციალური დებიუტიც სწორედ ამ მატჩში შედგება.

დავით ერაძე



REUTERS ფოტოები

მასიმო ამბროზინის სამქულიანი თავური

იგრძენით განსხვავება?

ამ მილანმა იმ მილანს ნახევარდაცვაში აჯობა

იტალია

სერია A. XXIII ტური

ლაციო 0:1 მილანი

0:1 ამბროზინი (76)

ლაციო: პერუცი, სტამი, ფ. კოუტუ (ოდო 80), მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე, ჯანიკედა, ლივერანი (ს. ინძაგი 85), სეზარი (ძაური 66), კორადი, კ. ლოპესი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, კალაძე, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა (გატუზო 67), შევჩენკო (პანკარო 80), ტომასონი (ფ. ინძაგი 67)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: კაფუ, ლივერანი, პირლო

მსაჯი: პაპარესტა

65 000 მაყურებელი

„მილანს" „ლაციოსთან" რომში რვა წელიწადი არ მოეგო. მისთვის ეს უსიამოვნო სტატისტიკა კვირა საღამოს, სერია A-ს 23-ე ტურის ბოლო მატჩში, საფინალო სასტვენამდე 16 წუთით ადრე, მასიმო ამბროზინის ძალიან ლამაზი თავურით ჩაბარდა ისტორიას. შეგახსენებთ, რომ ეს ორი გუნდი იანვარში, იტალიის თასზეც შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც ორი მატჩის ჯამში „ლაციომ" „შავ-წითლებს" 6:1 მოუგო — „სტადიო ოლიმპიკოზე" 4:0 აჯობა, ხოლო მილანში 2:1. ერთი სიტყვით, ასე ზედიზედ ერთსა და იმავე გუნდთან, თუნდაც „ლაციოსთან" სამი თამაშის წაგება „მილანისგან" მოსალოდნელი არ იყო, მით უფრო, რომ კარლო ანჩელოტიმ და მისმა ქვეშევრდომებმა კარგად იცოდნენ, რომ შუადღისას მათმა მდევრებმა, „რომამ" და „იუვენტუსმა" მოიგეს.

„მილანს" არ ჰყავდა დისკვალიფიცირებული კაკა, რომლის მაგივრად იონ დალ ტომასონი თამაშობდა და დაშავებული ალესანდრო ნესტა, რომლის პოზიციაც ალესანდრო კოსტაკურტამ გაამაგრა. რაც შეეხება გოლის ავტორს, იგი შემადგენლობაში ჯენარო გატუზოს მაგივრად შეიყვანეს — გატუზო მთლად ფორმაში არ არის.

თავიდან ბოლომდე და ჩვენი აზრით, სრულიად ნორმალურად ითამაშა კახა კალაძემ. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, როგორც ყოველთვის აქტიურობდა, თამაშობდა გასაგებად და სწორად, ხოლო რაც შეეხება შეცდომებს, ასეთად სამ მოქმედებას თუ ჩავუთვლით: პირველად სიჩქარეაკრეფილმა კლაუდიო ლოპესმა დრიბლინგით აჯობა და ჩააწოდა, მეორედ, კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთისთვის ბრძოლა ფერნანდუ კოუტუმ მოუგო და უზუსტო, მაგრამ თავური მაინც დაურტყა დიდას და მესამედ კალაძე ვერ მიხვდა, რომ ბურთი ხაზს გადალმა უნდა გაეტარებინა, უმტკივნეულო სიტუაციაში იგი თავით კუთხურზე გადააგდო და ამით მოწინაამღდეგის შეტევა გაახანგრძლივა — სულ ეს იყო.

ხოლო გოლი, რომელიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თამაშის დამთავრებამდე თექვსმეტი წუთით ადრე გავიდა და კაფუს ფლანგურ შეტევას, შემდეგ ბურთის ზეედორფისთვის დაგორებას და საჯარიმოში ჰოლანდიელის ჩინებულ პასს მოჰყვა, მასიმო ამბროზინი მდევარ სტეფანო ფიორეს დაუსხლტა და ნახტომით, ლამაზად დაარტყა ლამაზადვე ჩაწოდებულ ბურთს თავი.

„ჩვენს გუნდებს შორის ყოველთვის დაძაბული თამაში იმართება. დღეს ორივე მხარე ძლიერად იყო ორგანიზებული. იტალიის თასზე „ლაციომ" პრობლემები შეგვიქმნა და დღეს მაშინდელი შეცდომების გამოსწორებას შევეცადეთ, მეტოქე ნახევარდაცვაში შევბოჭეთ. დიახ, იმ სათასო თამაშებსა და დღევანდელ მატჩს შორის ნამდვილი განსხვავება ნახევარდაცვაში იყო. ჩვენ მათ შეტევების ფლანგებიდან განვითარების საშუალება არ მივეცით და მართალია, ამის გამო ჩვეულებრივზე ნაკლებად შევუტიეთ ანუ ბურთსაც უფრო იშვიათად ვფლობდით, როგორც ხედავთ, „ლაციოსთან" სწორედ ამ ტაქტიკამ გაამართლა, — განაცხადა პრესკონფერენციაზე „მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — რაც შეეხება ამბროზინის, იგი დიდხანს მკურნალობდა ტრავმას და ძირითადში დაბრუნების საშუალება მხოლოდ დღეს, გატუზოს კოჭის ტრავმის გამო მიეცა. აქაც გამოჩნდა, რომ ყველაფერი ჩინებულად დამთხვევია ერთმანეთს".

„ლაციოს" თავკაცი რობერტო მანჩინი: „ჩვენ მილანელებზე მეტს ვუტევდით, თხუთმეტი კუთხური ჩავაწოდეთ, მაგრამ „მილანი" დიდებული გუნდია, რომლის დაცვას ვერაფერი შეედრება. გოლის მომენტში კი რა ხდებოდა, ცოტა ადრე უნდა მივმხვდარიყავით. კაფუმ უპრობლემოდ ჩააწოდა".

და ბოლოს, მანჩინის იმ გასაოცარ ეპიზოდზე ჰკითხეს, როდესაც სათადარიგო სიმონე ინძაგი მოედნის კიდეს კი მიადგა, მაგრამ ჯერ თითქოს ფიორეს ცვლიდა, უეცრად კი ფაბიო ლივერანი შეცვალა. ამის შემდეგ, მოედნიდან გასული ლივერანი აბობოქრდა და სკამიდან ძალიან დიდხანს ლანძღა მეოთხე მსაჯი.

„ჩემი ბრალი იყო — გაეცინა მანჩოს — ეს მე შევცვალე ასე მოულოდნელად გადაწყვეტილება და გაუგებრობაც ამიტომ მოხდა".

პაპუნა ძიძია

მილანი	23	18	4	1	44:13	58
რომა	23	16	5	2	51:10	53
იუვენტუსი	23	16	4	3	47:25	52
ლაციო	23	12	4	7	33:23	40
პარმა	23	11	6	6	33:30	39
ინტერი	23	10	6	7	39:23	36
უდინეზე	23	10	6	7	28:25	36
სამპდორია	23	8	9	6	28:26	33
კიევო	23	8	5	10	25:27	29
ბრეშა	23	6	9	8	33:36	27
ბოლონია	23	6	7	10	25:33	25
ლეჩე	23	7	4	12	28:39	25
მოდენა	23	5	8	10	18:29	23
სიენა	23	5	7	11	28:36	22
რეჯინა	23	4	10	9	19:33	22
ემპოლი	23	5	5	13	18:39	20
პერუჯა	23	2	11	10	29:42	17
ანკონა	23	0	6	17	8:45	6

გაიხადეთ!

„შავ-ლურჯთა" მორიგი შავი დღე ასე გადაგორდა — „სან სიროზე" „ბრეშამ" მოუგო 3:1. და მაინც, „ინტერის" მწვრთნელი, ალბერტო ძაკერონი ამბობს, რომ თანამდებობიდან არ წავა

„გადადგომას არ ვაპირებ — თქვა მწვრთნელმა მატჩის შემდეგ — ჩემი ამოცანა ამ სეზონის რაც შეიძლება უკეთ დასრულებაა. მწვრთნელის ნაღვაწს, საერთოდ, სეზონის ბოლოს აჯამებენ და აფასებენ, ხოლო თუ პასუხისმგებლობაზეა საუბარი, მისი დიდი წილი ჩემს ზურგზეა, ვინაიდან „ბრეშასთან" მოგება იმ ფეხბურთელებითაც სავალდებულოა, რომლებიც მრავალრიცხოვანი ტრავმების შემდეგ დაგვრჩა. დღეს „ინტერში" ჩემი კარიერის უმდაბლეს საფეხურზე ვდგავარ და ერთადერთი, რაც შემიძლია, მომავალზე ფიქრია."

საგულისხმოა, რომ ძაკერონიმ „ინტერი" „ბრეშასთან" წაგებული თამაშის შემდეგ პირდაპირ საწვრთნელ ცენტრში წაიყვანა. შემდეგ ტურში „შავ-ლურჯები" „სტადიო ოლიმპიკოზე" „რომას" უნდა შეხვდნენ და მათ თავკაცს კარგად მოეხსენება, რომ იქ გამარჯვების შემთხვევაში ქომაგებსა და კლუბის ხელმძღვანელებზე შესაძლოა, დიდი ეფექტი მოახდინოს. მოგეხსენებათ, ამ სეზონში „ინტერი" ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდა და სერია A-შიც საძაგლად გამოდის. ჩემპიონობაზე ფიქრს რომ გამოემშვიდობნენ, „სან სიროს" ბინადრებმა ოთხეულში მოხვედრა დაისახეს მიზნად, მაგრამ გაირკვა, რომ შეიძლება არც ამ მიზნის მისაღწევად ეყოთ ცოდნა და ძალა.

წინა ტურში „სან სიროზე" მილანური დერბი გაიმართა, რომელსაც „ინტერი" 2:0-ს იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში სამი გოლი გაუშვა და წააგო, შემდეგ კი უიღბლობათა ტალღამ საფეხბურთო მოედნიდან ქალაქში გადაინაცვლა და კრისტიან ვიერის და ფაბიო კანავაროს რესტორნები მილეწ-მოილეწა: ამ რესტორნებში ყუმბარები აფეთქდა.

და კვირას, როდესაც ინტერელები შინ „ბრეშასთან" აგებდნენ, ტიფოზებმა ტრიბუნაზე პლაკატი გაშალეს: „გაიხადეთ ჩვენი მაისურები".

შესაძლოა, ბევრმა მართლა გაიხადოს.

პაპუნა ძიძია



ალბერტო ძაკერონის გაცოფებული ფანობაც ვერ აშინებს

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XVII ტური

ბეკეშჩაბა — ბალატონი, შოპრონი — ფერენცვაროში, მტკ — ჰალადაში, უიპეშტი — დიორ ეტო და ზალაეგერსეგი — პეჩი დიდთოვლობის გამო გადაიდო

სლოვაკეთი

I ლიგა. XIX ტური

პეტრჟალკა — პუხოვი, ინტერი — ტრენჩინი, ტრნავა — რუზომბეროკი, ბანსკა ბისტრიცა — ჟილინა და დუბნიცა — სლოვანი დიდთოვლობის გამო გადაიდო

ხორვატია

I ლიგა. XIX ტური

ციბალია — ზადარი 1:1; ჰაიდუკი — რიეკა 4:0; ზაგრები — მარსონია 2:3; სლავენი — ოსიეკი 3:3; კამენი — დინამო 0:1. ინტერი — ვარტექსი 0:0-ზე ჩაიშალა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ორიც ეყოფა

რობერტო კარლოსი ბაიერნს მოარიდეს



გუშინ უეფამ მადრიდის „რეალის“ მცველი რობერტო კარლოსი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, რაც ნიშნავს, რომ ბრაზილიელი მიუნხენის „ბაიერნთან“ საპასუხო მატჩში ვერ ითამაშებს.

„ოლიმპიაშტადიონზე“ ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩისას ბაიერნელმა მარტინ დემიკელისმა რობერტო კარლოსი უხეშად წააქცია და მსაჯისგან ყვითელი ბარათიც მიიღო, მაგრამ არბიტრს გამოეპარა — წაქცეულმა რობერტო კარლოსმა დემიკელისს სახეში გაარტყა, თუმც კამერას რას გამოაპარებოდა?!

უეფას სადისციპლინო კომიტეტში კი აცხადებენ, მსგავსი დანაშაული სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით ისჯება და რობერტო კარლოსი კიდევ შევიცოდეთო.

ამის საპირისპიროდ, „რეალის“ დირექტორმა ემილიო ბუტრაგენიომ თქვა, უეფას გადაწყვეტილება ჩვენთვის უსიამოვნო სიურპრიზი გამოდგა, განა ხელის გარტყმას ვუარყოფთ, მაგრამ ეს რობერტო კარლოსის ბუნებრივი რეაქცია იყო მისადმი უხეში თამაშის გამო და თუ ამისთვის დასჯიდნენ, როგორ წარმოვიდგენდითო. ბუტრაგენიოსავე თქმით, „რეალი“ საქმეს შეისწავლის და ამ ორ დღეში ეგებ გააპროტესტოს კიდეც.

„რეალს“ აპელაციისთვის ვადა ხუთშაბათამდე მიეცა.

კოტე კეკელია



კანი კაცია!

„ბაიერნისა“ და „ვოლფსბურგის“ მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ ფეხბურთელები გასახდელისკენ რომ მიდიოდნენ, გვირაბში შესვლამდე ოლივერ კანმა თვალი ტრიბუნისკენ გააპარა და დაინახა პატარა ბიჭი, რომელსაც ხელში პლაკატი ეჭირა წარწერით „ოლი, რეალი დავიწყებულია!“

„ვნახე და გამაჟრიალა. იმწამსვე წარმოვიდგინე ბავშვი კალმით როგორ გულმოდგინედ წერდა ამ სიტყვებს. სპორტსმენის ცხოვრებაში ასეთი მომენტი გულისამაჩუყებელია. ჩემი ბავშვობა გამახსენდა, როცა ტონი შუმახერს, ან ბორის ბეკერს რომ ვქომაგობდი და სკამიდან წარამარა წამოვხტებოდი“ — თქვა კანმა. ნამატჩევს „ბაიერნის“ მეკარემ 11 წლის ფანს ერთგულება დაუფასა, ხელთათმანები გაიძრო და ერთერთ პოლიციელს მიაწოდა, ბიჭს ჩემგან საჩუქრად გადაეცითო.

ვაჟა ხუციშვილი

ოლისემ სომხურრი ცხვირი გაასწორა

„ბოხუმმა“ ერთიმეორეზე მიაყოლა მიუნხენის „ბაიერნი“ და „ლევერკუზენი“, მაგრამ გასულ უქმეებზე „ჰანზას“ შინ ვერ მოუგო. ორი ბობოლა კლუბის მძლეველ გუნდში წესით ყველაფერი რიგზე უნდა იყოს და კარგი თამაშიც ფეხბურთელთა შეხმატკბილებულობაზე მეტყველებს, თუმც კლუბის სამზარეულოში არეულობა მაინც მოხდა..

„ჰანზასთან“ მატჩის დროს ნიგერიელმა სანდი ოლისემ და ირანელმა ვაჰიდ ჰაშემიანმა აურიეს. მოთამაშეები ერთმანეთს შენიშვნებს აძლევდნენ, განსაკუთრებით დორტმუნდის „ბორუსიიდან“ „ბოხუმში“ განათხოვრებული ნიგერიელი ენამწარეობდა. მან თანაგუნდელი რამდენჯერმე სიზარმაცეში დაადანაშაულა და საკადრისი პასუხიც დაუყოვნელივ მიიღო. ბიჭებმა ერთმანეთისკენ გაიწიეს, მაგრამ მეკარე ვან დუინჰოვენმა და კაპიტანმა დარიუშ ვოშმა მამლაყინწები დროულად გააშველეს.

ნამატჩევს სანდი ოლისემ გასახდელში ხელსაყრელი მომენტი შეარჩია. გერმანული გაზეთების ცნობით, ჰაშემიანს მუშტი გამეტებით სახეში გაუქანა და ირანელს ცხვირის ძვალი დაულეწა. კლუბის ბოსებმა კრივის ამბავი გაარჩიეს და, როგორც ამბობენ, ოლისეს გუნდიდან გაუშვებენ.

ვაჟა ხუციშვილი

მოსკოვის მოსკოვის თავმჯდომარე მერია

„ტორპედო-ზილი“, „ტორპედო- მეტალურგი“- ამ მოსკოვურ კლუბს სახელებს უცვლიან, მაგრამ შედეგი არ იცვლება. ახალი სეზონიდან „ტორპედო-მეტალურგი“ ჩემპიონატში „მოსკოვის“ სახელწოდებით გამოვა. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დედაქალაქის მერი იური ლუჟკოვი იქნება. პრეზიდენტად საწარმოო ფირმა „ნორილსკი ნიკელის“ დირექტორი მიხაილ პროხოროვი აირჩიეს, ხოლო გენერალურ დირექტორად იური ბელოუსი დანიშნეს.

პროხოროვმა აღნიშნა, დედაქალაქის თანამოსახელე კლუბები ევროპის ბევრ ქვეყანაში არსებობენ, ჩვენთან კი რატომღაც არასოდეს ყოფილა და იმედი მაქვს, მრავალ გულშემატკივარს შევიძენთო.

ვაჟა ხუციშვილი

მაიკლმა ლუსი დაბეჭდა

ქორწილი ძვლების გამთელების მერე

მხოლოდ ახლა გაცხადდა, რომ 14 თებერვალს, წმინდა ვალენტინის დღეს, რომელსაც შეყვარებულები თავის მთავარ დღესასწაულად თვლიან, მაიკლ ოუენს ლუსი ბონსალისთვის ხელი უთხოვია. „ლივერპულის“ ვარსკვლავს დაუჩოქია, რასაც ამ დროს ამბობენ-ხოლმე, გულისწორისთვის ის სიტყვები უთქვამს და თითზე მოზრდილი ბრილიანტის ბეჭედიც წამოუცვამს. და რა უპასუხა ლუსიმ მაიკლს? ცხადია, მაშინვე დათანხმდა. ისე, მაიკლი და ლუსი ქალიშვილ ჯემა როუზთან ერთად, რა ხანია, ერთად ცხოვრობენ მილიონნახევარ გირვანქად შეფასებულ სახლში, ჩრდილოეთ უელსში. ჯემა როუზი ახლა რვა თვისაა.

ქორწილამდე კი წყვილს მოცდა მოუწევს, რაკი ლუსის ფარსაგი რამ შემთხვევია. ცხენიდან გადმოვარდა და ბლომად ძვლები მოიტეხა.

აქვე გავიხსენოთ, რომ ახალგაზრდებს ჯერ კიდევ სკოლიდან უყვართ ერთმანეთი, მათი მეგობრები კი ამბობენ, ასეთი ბედნიერი წყვილის მნახველები არასდროს ვყოფილვართო.

ჩემპიონი

გამბრინუს ლიგა. XIX ტური

ბუდეიოვიცე — სპარტა 2:2; სინოტი — აიბლონეცი 1:0; სლავია — პლზენი 3:0; ჟიჟკოვი — ბრნო 2:0; ბლშანი — ბანიკი 2:1; სიგმა — პრჟიბრამი 1:0; ლიბერეცი — ზლინი 3:0. ოპავა — ტეპლიცე *24 მარტს გაიმართება*

ბანიკი	18	11	6	1	36:14	39
სლავია	19	11	3	5	26:11	36
სპარტა	19	9	7	3	33:17	34
სიგმა	19	9	5	5	30:16	32
ლიბერეცი	19	8	6	5	21:14	30
სინოტი	18	8	5	5	25:21	29
ბუდეიოვიცე	19	8	5	6	24:22	29
ზლინი	19	8	3	8	20:24	27
პრჟიბრამი	19	6	4	9	22:21	22
ტეპლიცე	18	5	7	6	17:19	22
ბრნო	19	5	7	7	19:25	22
იაბლონეცი	19	4	9	6	16:23	21
ოპავა	18	6	2	10	22:35	20
ჟიჟკოვი	19	4	4	11	10:23	16
პლზენი	19	3	6	10	13:30	15
ბლშანი	19	4	3	12	19:39	15

საამსე ზონო კრიზისიდან საფუძვლიანად გამოფხიზლებულმა „ბარსელონამ“ ზედიზედ მეექვსე საპრიმერო გამარჯვება ლაკორუნიულ „რიასორზე“ იზეიმა — იქაური „დეპორტივო“ 3:2 დაამარცხა და ქულათა მარაგიც 46-მდე შეივსო. კატალონიელები ამ გამარჯვებას კვლავაც რონალდინიოს უნდა უმადლოდნენ — ბრაზილიელმა ხოსე ფრანსისკო მოლინას კარში ორი შესანიშნავი ბურთი შეაგდო. რონალდინიოს ნამატჩევს ესპანური „ლიბრედირექტო“ ესაუბრა

ბარსელონას მესაიდუმლე

რონალდინიოს ოქროს ფონდში გოლები და ქულები შეაქვს

— ორი ლამაზი გოლი და ტრადიციულად რთულ მეტოქესთან სტუმრად გამარჯვება. ეს, მგონი, კმაყოფილებისთვის საკმარისი საბაბი უნდა იყოს.

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ არა მხოლოდ ჩემი იღბლიანობით, არამედ, გუნდის შესანიშნავი თამაშით. არბიტრის საფინალო სასტვენამდე ვიბრძოლეთ და გულწრფელი შემართება დაგვიფასდა კიდეც.

— თქვენს ანგარიშზე უკვე 9 საპრიმერო გოლია. რას იტყვით ამის შესახებ?

— იმას, რომ საქმეები ახლა კარგად მიმდის. ამგვარად გუნდს უფრო ვეხმარები და საჭირო გამარჯვებებშიც ჩემი წვლილი შემაქვს.

— 6 მატჩია, რაც „კამპ ნოუს“ მკვიდრნი პრიმერადივიზიონში ფრესაც კი უკადრისობთ. თქვენი აზრით, რა არის ახალი „ბარსელონას“ წარმატების საიდუმლო?

— თუ გითხარით, რაღა საიდუმლო იქნება... ეს ხუმრობით, ისე კი, მგონი, ყველა ხედავს რატომ და როგორ ვიგებთ, ჩვენ საკუთარ შესაძლებლობათა რწმენა დავიბრუნეთ,

— ფრანსისკო მოლინა 29 თებერვლამდე „დეპორის“ კარს 401 წუთის განმავლობაში მშრალად ინახავდა. იმ ორი გატანილი ბურთიდან უფრო რომელი მოგეწონათ?

— ვერ გამოვარჩევ, ორივე გოლი ჩემთვის ძალიან ლამაზია. უამრავი სახიფათო ეპიზოდი შევქმენით, რაც საბოლოო ანგარიშს აუცილებლად უნდა დასტყობოდა.

— 2003-04-ის დასასრულს თქვენი აზრით „ბარსელონა“ როგორ შეხვდება?

— წინასწარ რთულია თქმა, მაგრამ თუ ყოველ მატჩს, არა როგორც მორიგ სამ ქულას, არამედ როგორც კლუბის ოქროს ისტორიის შემადგენელ ნაწილს ისე შევხედავთ, სეზონი, წესით და რიგით, ჩვენთვის მომგებიანად უნდა დამთავრდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს.

— „დეპორთან“ მატჩი ტრისტანტე ოლივამ იმსაჯა, არბიტრმა, რომელმაც 24-ე ტურში „რეალის“ სასარგებლოდ „ვალენსია“ უსამართლო პენალტით დასაჯა...

— ვერაფერს გეტყვით. მე მაინტერესებს ჩემი გუნდი, მისი თამაში, მისი წარმატებები და არა მავანი არბიტრის უხეში შეცდომები. ცხადია, მოტას ბედი მაწუხებს, ოლივამ წითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ მთავარია, გავიმარჯვეთ და „დეპორტივოსთან“ ურთულესი 3:2 ახლა ყველა სამსაჯო უცნაურობაზე ათი თავით მაღლა დგას...

ლუკეს კატალონია ეძახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალისიური „დეპორტივოს“ თავდამსხმელი ალბერტ ლუკე ფრანკ რაიკარდის „ბარსელონას“ სამომავლო იმედთაგან ერთ-ერთი უმთავრესი იქნება. ორი დღის წინ, როდესაც „რიასორზე“ ხსენებული გუნდების სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი მიმდინარეობდა, კულუარებში წარმოშობით კატალონიელი ლუკეს „კამპ ნოუზე“ სავარაუდო დაბრუნებაზე ბჭობდნენ. ძველ ბარსელონელს ერთხელ უკვე უთქვამს, თუ გალისიელები ჩემს გაყიდვას გადაწყვეტენ, „ბარსას“ გარდა სხვა გუნდი არ მიხსენოთო. ჰოლანდიელ რაიკარდსაც ფრიად დაჟინებით სურს ლუკეს თავისთან ხილვა. ლუკეს თავგამოდებული მომხრეა ხუან ლაპორტას საპრეზიდენტო ბანაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოხელე — კლუბის სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი.

შეხმატკბილებული ურთიერთობით ვერ დაიკვეხნის და ესპანური მედიაც მის სატრანსფერო თავგადასავალს საბარსელონო დასასრულს უქადის: „ლაპორტამ „დეპორტივოს“ პრეზიდენტ ლენდოიროს ალბერტ ლუკეს საფასურის დასახელება მოსთხოვა. სარწმუნო ცნობებით, ლაკორუნიელები ვაჭრობაზე დათანხმდნენ და თავად ფეხბურთელის სიმპათიებიც „კამპ ნოუსკენ“ იხრება. ესე იგი, თუ მოლაპარაკება წარმატებით დაიწყო, გამოდის, რომ რაიკარდს „რიასორიდან“ გაცილებით უფრო მეტი წაუღია, ვიდრე უბრალოდ 3 საპრიმერო ქულა“ — დაასკვნის ესპანური LIBREDIRECTO.

ლადო ხომერიკი

დეშანს დიდი გული და ორი ყურის აქვს

სეზონის დასაწყისიდან დღემდე „მონაკო“ ბრწყინვალედ თამაშობს და ჩემპიონატს ერთპიროვნულად თამადობს. გულშემატკივრებს მწვრთნელ-ფეხბურთელებთან აქამდე პრეტენზია არ ჰქონიათ, რადგან შედეგებით კმაყოფილნი იყვნენ, ახლა კი დიდიე დეშანს კრიტიკის გვარიანი ულუფა მიართვეს.

მოსკოვში „ლოკომოტივთან“ მარცხი, ხოლო შემდეგ მაჩანჩალა „ტულუზასთან“ სტუმრად ფრე, წარმატებებს მიჩვეული ქომაგების ასაფორიაქებლად საკმარისი აღმოჩნდა.

„მონაკოს“ თავკაცი სიმშვიდეს ინარჩუნებს: „სულაც არ მადარდებს, ჩემზე რას ჭორაობენ. ძალიან კარგად ვიცი, გუნდი საით მიმყავს. სანერვიულო არაფერი გვაქვს. შარშან ჩემპიონობამდე ცოტა დაგვაკლდა, ამჟამად კი ვლიდერობთ. მთავარია, შეცდომები აღარ გავიმეოროთ და შედეგი მოვა. მართალია, მოსკოვში წავაგეთ, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა. მჯერა, რომ საპასუხო მატჩში გაცილებით უკეთ ვითამაშებთ და მეოთხედფინალში გავალთ“.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXVI ტური

ოსერი 1:1 პსჟ

1:0 ჯ. სისე (45), 1:1 ჩანა (80)

მონაკო	26	16	7	3	44:18	55
ლიონი	26	15	6	5	44:20	51
პსჟ	26	14	8	4	37:19	50
სოშო	26	14	6	6	39:28	48
ოსერი	26	14	4	8	43:21	46
მარსელი	26	13	4	9	33:26	43
ნანტი	26	11	6	9	29:23	39
ნიცა	26	9	12	5	27:22	39
ბორდო	26	10	7	9	25:27	37
ლანსი	26	11	4	11	23:38	37
ლილი	26	9	7	10	28:28	34
რენი	26	8	9	9	33:28	33
სტრასბური	26	8	7	11	37:37	31
აიაჩო	26	7	6	13	23:37	27
ბასტია	25	6	8	11	25:35	26
მეცი	25	6	6	13	17:27	24
გენგამი	25	7	3	15	21:38	24
ტულუზი	25	5	7	13	19:33	22
მონპელიე	26	6	4	16	29:51	22
ლე მანი	26	4	9	13	20:40	21

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XXII ტური

აეკ — არისი 1:0; ირაკლისი — პანიონიოსი 0:3; კალითეა — ოლიმპიაკოსი 1:2; აკრატიტოსი — ქსანთი 1:3; იონიკოსი — ხალკიდონა 0:1; პაოკ — ოფი 2:0; პროდეფტიკი — პანილიაკოსი 2:0; პანათინაიკოსი — ეგალეო 2:0

ოლიმპიაკოსი	22	18	2	2	54:14	56
პანათინაიკოსი	22	17	4	1	44:13	55
პაოკ	22	14	5	3	37:17	47
ეგალეო	22	11	6	5	27:17	39
აეკ	22	11	5	6	41:22	38
ხალკიდონა	22	11	5	6	33:26	38
პანიონიოსი	22	8	9	5	29:21	33
ირაკლისი	22	9	5	8	28:31	32
ქსანთი	22	7	5	10	22:30	26
ოფი	22	6	5	11	22:35	23
იონიკოსი	22	6	4	12	24:31	22
არისი	22	5	4	13	17:31	19
კალითეა	22	2	9	11	24:35	15
პანილიაკოსი	22	3	6	13	24:43	15
აკრატიტოსი	22	3	5	14	22:57	14
პროდეფტიკი	22	2	7	13	13:38	13

მექსიკა

კლაუსურა. VIII ტური

ვერაკრუსი — ხაგუარესი 1:3; მონტერეი — სანტოს ლაგუნა 2:1; კრუზ ასული — პაჩუკა 1:2; გვადალახარა — ტოლუკა 0:0; ნეკაქსა — ტიგრესი 2:1; უნამი — მორელია 2:1; ამერიკა — სან ლუისი 2:0; ირაპუატო — ატლასი 2:1; პუებლა — კერეტარო 1:0; ტეკოსი — ატლანტე 3:0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. კონიაკაზი

DEUTSCHLAND 2006

პირველი მატჩები

გრენადა 5:0 გაიანა

არუბა 1:2 სურინამი

ბერმუდა 13:0 მონსერატი

რუსეთი

თასის 1/8 ფინალი

საპასუხო მატჩი

ხიმკი 0:1 *ლოკომოტივი (მ)* (0:4)

კოლუმბიელები კლაუსურაში

ნიუელს ოლდ ბოიზი — რივერ პლეიტი. მარსელო სალას გოლების გატანა არ დავიწყნია

არგენტინა

კლაუსურა. III ტური

ინდეპენდიენტე — ბანფილდი 0:1; ლანუსი — სან ლორენსო 0:4; ატლეტიკო რაფაელა — ოლიმპო 0:2; რასინგი — ხიმნასია 1:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — რივერ პლეიტი 2:3; ესტუდიანტესი — კილმესი 1:0; ნუევა ჩიკაგო — არსენალი 2:1; ჩაკარიტა — როსარიო სენტრალი 1:1; ბოკა ხუნიორსი — ველეს სარსფილდი 3:3; ტალიერესი — კოლონი 4:0

სამი ტურის თავზე არგენტინის კლაუსურას კორდობის „ტალიერესი“ ლიდერობს. „ტალიერესმა“, რომელიც აქამდე იმით იყო ცნობილი, რომ საკუთარ კედლებში გრანდებს ამარცხებდა და ამიტომ მის სტადიონს „სპილოების სასაფლაოს“ უწოდებდნენ, სამივე თამაში მოიგო და 12 გოლი გაიტანა. ბოლო მსხვერპლი „კოლონი“ იყო, რომელსაც ლიდერმა 4 უპასუხო გოლი შეუგდო და რომელსაც კოლუმბიელი ფრანსისკო მატურანა წვრთნის. მატურანამ, რომელიც ნოემბერში გადააყენეს კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელობიდან ზედიზედ სამი წაგების შემდეგ, პირველ ორ ტურში წაუგებლად გაატარა „კოლონი“, მაგრამ ახლა ველარაფერს გახდა: ურუგვაელმა ვიტორ პირის ალვესმა და ალდო ოსორომ ორ-ორი გოლი გაუტანეს სტუმრებს.

სანამ კორდობაში ეს ამბავი იყო, „ესტუდიანტესის“ შემადგენლობაში მეორე ტაიმში გამოჩნდა ჩვენგან დავიწყებული ასევე კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილია. ბოლოხანს ასპრილია სანტიაგოს „უნივერსიდად დე ჩილეში“ და მშობლიურ ქალაქ ტულუას გუნდებში თამაშობდა. ახლა ფიზიკურად ღონივრად ვერაა, მაგრამ თავისი ფინტები არ დავიწყებია. „ესტუდიანტესმა“ წესტორ ფაბრის თაკურით მოუგო „კილმესს“, რითაც თავისი განუქმული მწვრთნელი ეარლეს ბიღარდო პირველი მოგებით გაახარა.

რასარიოში „რივერ პლეიტმა“ 3:2 გამოგლიჯა „ნიუელს ოლდ ბოიზს“, რომელსაც „რივერის“ ყოფილი მწვრთნელი ამერიკო გალიეგო წვრთნის. მოგებულთაგან დანიელ მონტენეგრომ, რუბენ სამბესამ და მარსელო სალასმა გაიტანეს. აპერტურას ჩემპიონმა „ბოკა ხუნიორსმა“ შინ „ველეს სარსფილდს“ ვერ მოუგო. გუსტავო ბაროს შელოტომ პირველ ტაიმში პენალტი გააფუჭა, რაც ძვირად დაუჯდა „ბოკას“, რომელიც მე-80 წუთზე კვლავ კოლუმბიელის ფაბიან ვარგასის წყალობით 3:2-ს იგებდა, მაგრამ „ველესის“ სათადარიგომ სანტიაგო ბიანკიმ თავისი გოლით „ბომბონიერა“ ჩაადუმა.

ონარიო გუსტოს დომეკი

ტალიერესი	3	3	0	0	12:4	9
რასინგი	3	2	1	0	6:1	7
რივერ პლეიტი	3	2	1	0	8:4	7
ველესი	3	2	1	0	8:4	7
სან ლორენსო	3	2	0	1	6:4	6
ბოკა ხუნიორსი	3	1	2	0	5:4	5
ნუევა ჩიკაგო	3	1	2	0	5:4	5
ხიმნასია	3	1	1	1	6:2	4
ინდეპენდიენტე	3	1	1	1	5:3	4
ბანფილდი	3	1	1	1	3:3	4
კოლონი	3	1	1	1	4:7	4
არსენალი	3	1	0	2	7:8	3
ლანუსი	3	1	0	2	5:7	3
ოლიმპო	3	1	0	2	3:7	3
ესტუდიანტესი	3	1	0	2	2:7	3
ოლდ ბოიზი	3	0	2	1	4:5	2
კილმესი	3	0	2	1	1:2	2
ატლეტიკო	3	0	1	2	2:5	1
როსარიო	3	0	1	2	2:6	1
ჩაკარიტა	3	0	1	2	2:9	1

ლუშემბურგო მოხსნეს, რივალდო კი წავიდა

ბრაზილიაში გახურებულა შტატების ჩემპიონატი, რომელიც წინ უსწრებს ხოლმე ხმაურიან საერთოეროვნულ ჩემპიონატს. განსაკუთრებით საინტერესო და სკანდალური სამი ბობოლა საფეხბურთო შტატის ჩემპიონატია — რიოსი (იგივე კარიოკა), სან პაულუსი (ლიგა პაულისტა) და მინას ჟერაისისა (მინეირო).

ყოველ ამ ჩემპიონატს დახლართული ფორმულა აქვს. მაგალითად, ლიგა პაულისტაში ორ ჯგუფად გაყოფილი 21 გუნდია, რომელთაგან ოთხ-ოთხი საუკეთესო პლეი ოფებში აგრძელებს ბრძოლას. კარიოკა სამ ეტაპად მიმდინარეობს: პირველი ორი ჯგუფურია, მეორე ეტაპზე ორი ექვ-ექვსგუნდა ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გადის და პლეი ოფის შედეგად ერთი რჩება. ეს ერთი შეხვდება იმ ორს შორის გამარჯვებულს, რომლებმაც პირველ ეტაპზე მოიგეს თავთავიანთი ჯგუფები.

ყველაზე იოლია ლიგა მინეიროს შეჯიბრი. მასში მაღაროელთა შტატის 14 გუნდი მონაწილეობს და პლეიოფებში პირველი ოთხი გუნდი გადის.

ეს მარტივი ფორმულა კი სამუშაოს დაკარგვად დაუჯდა განთქმულ მწვრთნელს, ვანდერლეი ლუშემბურგოს. სამი თვე თუ გავიდა იქედან, როცა ლუშემბურგოს გაწვრთნილმა „კრუზეირომ“ საუცხოო სტილში მოიგო საერთო ბრაზილიური ჩემპიონატი. მაგრამ ახლა საქმე შავად წავიდა: „კრუზეირომ“ 3:5 წააგო „ატლეტიკო მინეიროსთან“ და პლეი ოფში მოხვედრის ყოველგვარი შანსი დაკარგა. ამ სირცხვილს ვერ გაუძლო კლუბის უფროსობამ და ლუშემბურგო დაითხოვა. სამწუხაროდ, მწვრთნელს თან მიჰყვა რივალდოც, რომელმაც თამაშზე უარი განაცხადა. რივალდომ სულ ათჯერ ითამაშა „კრუზეიროში“ და 2 გოლი გაიტანა. მინას ჟერაისის ჩემპიონატი „კრუზეიროს“ შარშან მოგებული აქვს, წლეულს კი ველარაფრით დაეწევა მეოთხე ადგილზე მდგომ „ვალერიუს“. წაუგებელი „სან პაულუ“ ლიდერობს ლიგა პაულისტას პირველ ჯგუფს, მეორე ჯგუფს კი სათავეში უდგას პატარა „პაულისტა“. „სან პაულუმ“ ამ უქმეებზე კი მოუგო „რიო ბრანკო ამერიკანას“, მაგრამ მწვრთნელი კუვა მაინც უკმაყოფილო იყო, გვამტვრევდნენ, მსაჯი კი დუმდაო.

კარიოკაში ახლაღა დაიწყო მეორე ეტაპი, პირველი კი „ფლამენგოს“ მოუგია.

ლუჩაუ დუ მოშკაუ

ვანდერლეი ლუშემბურგო და რივალდო „კრუზეიროს“ გაეყარნენ

ჩილავერტმა კარი დახურა

ხოსე ლუის ჩილავერტმა, რომელიც ურუგვაის „პენაროლის“ შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა, კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 38 წლის პარაგვაელმა მეკარემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „მსურს, რომ ფეხბურთიდან გამარჯვებული წავიდე და ახლა საამისო დროა. ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშე და 1998 წელს ფიფამ მსოფლიოში საუკეთესო მეკარედ მცნო. სამომავლო გეგმებზე ჯერ ზუსტად ვერაფერს ვიტყვი, შესაძლოა, ბუენოს აირესის რომელიმე დიდ გუნდში მწვრთნელობა ვიკისრო. „ველეს სარსფილდმა“ შემომთავაზა დაბრუნება და კარში ჩადგომა, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა, მოედანზე როგორც ფეხბურთელი, აღარ გავალ. ვფიქრობ, რომ 24 წლის მანძილზე პატიოსნად ვიშრომე, დოპინგი არასოდეს მიმიღია. ცხოვრების ხელახლა დაწყება რომ შემეძლოს, ისევ მეკარეობას ავირჩევდი და ბედნიერი ვიქნებოდი, მამაც თუ ცოცხალი მეყოლებოდა“.

გასულ კვირას, გაჩემპიონების შემდეგ, „პენაროლის“ მოთამაშე ბენგოჩეას უთქვამს, გულშემატკივრებს ჩილავერტზე მეტად მე ვუყვარვარო. მეკარის კომენტარი ამ ფაქტზე ასეთია: „მე ვაპატიე მას, რადგან როცა ეს თქვა, ალბათ მთვრალი იყო. ჩვენ ხომ ჩემპიონობას ვზეიმობდით და გვარიანად მოვილხინეთ“.

ვაჟა ხუციშვილი

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ჟაირზინიო

ჟაირზინიო 1944 წელს, შობა ღამით დაიბადა და ეს ბრაზილიისთვის გამოგზავნილი საჩუქარი გახლდათ...

პატარა საჩუქარი ჟენერალ სევერიანუს ქუჩაში იზრდებოდა. მისი სახლის გადალმა „ბოტაფოგოს“ სტადიონი იდგა და უბნის ბავშვთა გუნდსაც ამიტომ ერქვა „ეშტრელა დე ბოტაფოგო“, რაც ბოტაფოგოს ვარსკვლავს ნიშნავს. აი, ამ გუნდში გადადგა ჟაირ ვენტურამ პირველი ნაბიჯები.

ღმერთის საჩუქარი

ხაცმა, რომელმაც ბრაზილიას რონალდო გააცნო

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რიოში ასეთი გუნდების თვლა არ არის და არც ოდესმე ყოფილა. ისინი სანახევროდ უპატრონონი არიან, ცხოვრებას არსებობისთვის ებრძვიან, თუმცა ხშირად ყოფილა, რომელიმეს შეფობა ამა თუ იმ პროფესიონალ ფეხბურთელს რომ უკისრია და ჩვენი „ეშტრელაც“ ასეთთა რიცხვში აღმოჩნდა. ამ გუნდის პატრონობა ოსვალდუმ იკისრა, ხოლო ოსვალდუს „ფლამენგოს“ ბავშვთა სკოლასთან ჰქონდა მჭიდრო საქმიანი კავშირი. ერთი სიტყვით, ჟაირ ვენტურამ თავი „ფლამენგოში“ ამოჰყო, მაგრამ მერე აი, რა მოხდა:

„1960 წელი იყო, თხუთმეტისა გახლდით, როდესაც „ფლამენგოს“ ასაკობრივი გუნდის მწვრთნელმა ვალტერ მირალიამ ნიჭიერ მოთამაშედ მიმიჩნია და მოყვარულად მიმიღო. ის მკაცრ მამასავით იქცეოდა. მისი ნებართის გარეშე ვერც ვარჯიშზე მიხვიდოდი და ვერც ფეხს გაადგამდი სადმე. ჰოდა, ჩემი მისვლიდან ორ თვეში ფეხი ისე ვიტკინე, რომ მთელი თვის გაცდენა მომიხდა. რომ გამოვჯანმრთელდი ვარჯიშზე მივედი, მაგრამ მირალიამ ხელმკლავი გამომდო და გვერდზე გამიყვანა. „რატომ არ მომწერე თუნდაც ერთი სიტყვა?“ — მითხრა მან და როდესაც შეატყო, რომ რა უნდოდა მაინც ვერ ვხვდებოდი, ბუცები გადმომიყარა: „წადი, საიდანაც მოსულხარ“.

ჟაირიც წავიდა, კვირას კი „ეშტრელას“ მეზობელი უბნის „ფორტუ დე ლემესთან“ ჰქონდა თამაში. ამ გუნდს „ბოტაფოგოს“ სათადარიგო მარცხენა მცველი ლუკაშ სეტე-ბოია პატრონობდა. „ეშტრელამ“ 3:1 მოიგო, ორი გოლი ჩვენი წერილის გმირმა გაიტანა.

„არ ვიცოდი, ბუცებშიც ასე თუ შეგეძლო თამაში“ — გაუკვირდა ლუკაშს, რომელსაც ჟაირზინიო მანამდე მხოლოდ ფეხშიშველა ჰყავდა ნანახი.

ასე მოხვდა ჟაირი „ბოტაფოგოში“ და ცინიკოსმა განგებამ პირველსავე შეხვედრაში „ფლამენგოს“ კარში გაატანინა გოლი. „რატომ მიღალატე, რატომ?“ — მივარდა მატჩის შემდეგ მირალია, მაგრამ ჟაირმა რაღაც ჩაიბუტბუტა და ვითომ სადღაც მიეჩქარებოდა, მიიმალა.

ახლა იმაზე ვთქვათ, ეს ჟაირზინიო საიდან მოვიდა, ან რას ნიშნავს. თურმე „ბოტაფოგოში“ მასთან ერთად თამაშობდა ვინმე ჟაირ ბალა, ხოლო ერთ გუნდში ორმა ჟაირმა კომენტატორები და ჟურნალისტები დააბნია, ამიტომაც ჩვენს ჟაირს, როგორც გვიან მისულს, ჟაირზინიო დაარქვეს. ეს მოფერებითი ფორმაა, დაახლოებით ჟაირუნიას ან ჟაირიკოს მაგვარი და მეტი არაფერი.

ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში „ბოტაფოგოს“ თავდასხმაში თამაშობდნენ გარინჩა, დიდი, კუარენტინია, ამარილდო და ზაგალო. ასეთ კომპანიაში ჟაირზინიოს თავიდან, ბუნებრივია, შეცვლებზე მოუხდა შესვლა და რა ძნელი გამოსაცნობია, რომ ყველაზე ნაკლებად სახელმოხვეჭილ კუარენტინიას ცვლიდა, ისიც მაშინ, როდესაც ის დაშავდებოდა. 1962 წელს კი სერიოზულად გაუმართლა... გარინჩამ ფეხი მოიტეხა.

ასე გახდა ჟაირი „ბოტაფოგოსა“ და ბრაზილიის ნაკრების მარჯვენაფლანგელი გარემარბი. თუმცა მოგვიანებით, თავდასხმის ცენტრშიც გვარიანად გამოიჩინა თავი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდმა მანემ, გარინჩამ ჩვენს გმირს მცველთა მუჯლუგუნების და სარმებისგან თავის დაცვაც ასწავლა.

მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ გარინჩას მემკვიდრეობა ჟაირზინიოს ერთ რომელიმე დღეს არ მიუღია. პროცესი დროში გაწელილი გახლდათ. კერძოდ, ზემოხსენებული ტრავმის შემდეგ გარინჩა გამოჯანმრთელდა და მაგალითად, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვეული პოზიცია დაიკავა, რის გამოც ჟაირზინიოს მარცხნივ მოუხდა გადაბარგება, სადაც მას საერთოდ არაფერი ესაქმებოდა.

1967 წელს, როდესაც ნაკრების მარჯვენა ფრთა საბოლოოდ მას ჩააბარეს, ჟაირმა ორ ადგილას მოიტეხა ფეხის ძვალი. კარგა ხანს მოუხდა ექიმობა, თუმცა 1970-ში მას უპირობოდ მიიჩნევდნენ ნაკრების მთავარ „მემარჯვენე“ კანდიდატად და მართლაც, მუნდიალიდან იგი ყველა (6) თამაშში გატანილი გოლის ავტორად დაბრუნდა. ასეთი შედეგი მის გარდა დღემდე მხოლოდ ფრანგ ჟიუსტ ფონტენს აქვს, თუმცა 1950 წელს იყო ასეთი არგენტინელი ფორვარდი ალსიდეს გიჯა, რომელმაც ასევე ყველა, ოღონდ 4 თამაშში გაიტანა გოლი, ასე რომ... როგორც გენებოთ. და კიდევ, ჟაირზინიოს მსოფლიოს ჩემპიონატებზე 16 შეხვედრაში აქვს ნათამაშევი, რაც 1998 წლამდე ბრაზილიის რეკორდი გახლდათ, თუმცა 98-ში კარლოს დუნგამ და კლაუდიო ტაფარელმა მოუხსნეს.

„ბოტაფოგოში“ ჟაირმა 413 შეხვედრაში 189 გოლი გაიტანა და კლუბის ისტორიაში მესამე ბომბარდირი გახდა, რაც შეეხება პოპულარობას, ქომაგები ამასწინანდელმა გამოკითხვამ ის გარინჩასა და ნილტონ სანტოსის შემდეგ დაასახელა. დანარჩენი ლეგენდები, ტულიო, ელენიო, დიდი, ამარილდო, კუარენტინია, ჟერსონი და სხვანი მის მერეღა დგანან რიგში.

1974 წელს ჟაირზინიო „მარსელში“ გადადის, რაც თავიდან ოცნების ახდენად მიიჩნია, მაგრამ მალე ხვდება, რომ ევროპა მისთვის უცხოა, დისციპლინას არღვევს და ბრაზილიაშიც ბრუნდება. გაბრაზებულმა „მარსელმა“ კონტრაქტი არ გაუუქმა და მასაც მთელი წელიწადის განმავლობაში თამაშის უფლება არ ჰქონდა.

შემდეგ კი იყო „კრუზეირო“, რომელმაც ჟაირზინიოს დახმარებით „კოპა ლიბერტადორესზე“ არგენტინული კლუბების 12 წლიანი ჰეგემონია დაამხო. ჟაირის ოსტატობის წყალობით გუნდმა 13 შეხვედრაში 46 გოლი გაიტანა, რომელთაგან 14 პირადად მისი ფეხისა გახლდათ...

თქვენი ნებართვით, ამბავს, თუ როგორ გაემგზავრა უკვე ვეტერანი ჟაირ ვენტურა ვენესუელაში, სადაც „პორტუგეზაში“ აგორა ბურთი, რითაც ერთი მხრივ იქაურობას დიდი გამოცდილება, მეორე მხრივ კი თავის ჯიბეს კარგი ფული შეჰმატა, აქ აღარ ჩავუღრმავდებით. მით უფრო, რომ ვენესუელის ისტორია კი არა, „კრუზეიროს“ პერიოდი უფრო იმსახურებდა ცოტა განვრცობილ თხრობას. ერთი სიტყვით, ამას თავი დავანებოთ და 1982 წელზე გადავხტეთ, როდესაც ტელე სანტანას ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრები ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელად ემზადებოდა. სან პაულუში ამხანაგური მატჩისთვის ჩეხოსლოვაკია სტუმრობდა, სტადიონი ასმა ათასმა შეავსო და... ასევე დადუმდა. ახალგაზრდა ზიკოებსა და ფალკაოებს შორის უეცრად 37 წლის ძია კაცი გამოჩნდა. ეს გახლდათ ჟაირზინიო.

რატომ? გაოგნდა ყველა. რამ გადარია ტელე სანტანა?

თურმე ნუ იტყვით და, ჟაირს ნაკრებში 99 მატჩი აქვს ჩატარებული. ასამდე შევსებას წინ რა უნდა დადგომოდა, სანტანამ იგი მოედანზე სულ 11 წუთი გააჩერა, მეტი კი არა. შემდეგ მის მაგივრად პაულუ ისიდორო შევიდა — იყო ასეთი საოცრად მოქნილი კაცი, შეცვლაზე რომ შედიოდა, ფეხს ზურგიდან ლამის კეფაზე იდებდა.

მაგრამ შემდეგ ბოროტმა სტატისტიკოსებმა ერთი ამბავი ატეხეს, ასეთი თამაშები არ ითვლება, მხოლოდ ისეთები უნდა ჩაითვალოსო და თავიდან და ბოროტად რომ გადათვალეს, ჟაირზინიოს ნაკრებში მხოლოდ 81 შეხვედრა გამოუვიდა ჩატარებული.

და ბოლოს, 90-იან წლებში ჩვენი გმირის სახელმა კიდევ ერთხელ მოსჭრა მსოფლიოს ყური. არა, ამჯერად ის მოედანზე აღარ გაძუნძულებულა, უბრალოდ ასეთი ფრაზა თქვა: „ასე ძლიერად თვით პელესაც არ დაუწყია!“

ვის? იკითხა ბრაზილიამ და 14 წლის რონალდოსკენ გაიხედა.

პაპუნა კედია

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჟაირზინიომ ექვს მატჩი შვიდი გოლი გაიტანა

ჟაირზინიო, გერსონი და გარინჩა

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური								
3 მარტი								
23.45	001	ბირმინგემი-მიდლსბრო	2,15	3,1	3,3	1,26	1,3	1,59
ინგლისი. I დივიზიონი. XXXIV ტური								
2 მარტი								
23.45	031	ბრედფორდი-უოტფორდი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.45	032	ბარნლი-ვესტ ჰემი	3,0	3,2	2,25	1,54	1,28	1,32
23.45	033	კარდიფი-ქოვენთრი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
23.45	034	ჯილინგემი-უიგანი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	035	ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
23.45	036	პრესტონი-რედინგი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
23.45	037	როტერჰემი-კრისტალ პალასი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.45	038	შეფილდი-მილუოლი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
23.45	039	სტოკი-იფსვიჩი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
23.45	040	უოლსოლი-სანდერლენდი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.45	041	უიმბლდონი-ნოტინგემი	3,6	3,4	1,75	1,74	1,17	1,15
3 მარტი								
23.45	042	დერბი-ქრიუ	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
ინგლისი. II დივიზიონი. XXXIV ტური								
2 მარტი								
23.45	055	ბარნსლი-პიტერბრო	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
23.45	056	ბრაიტონი-ბრენტფორდი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
23.45	057	ბრისტოლი-უიკომბი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
23.45	058	კოლჩესტერი-სტოკპორტი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
23.45	059	ჰარტლპული-ჩესტერფილდი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
23.45	060	ლუტონი-ბორნმუთი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
23.45	061	ნოტსი-გრიმსბი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
23.45	062	ოლდემი-რექსემი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
23.45	063	პლიმუთი-უენსდი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
23.45	064	ქუინზ პარკი-პორტ ვეილი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
23.45	065	რაშდენი-ბლეკპული	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
3 მარტი								
23.45	066	სუინდონი-ტრანმერი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
ინგლისი. III დივიზიონი. XXXIV ტური								
2 მარტი								
23.30	081	დარლინგტონი-ჩელტენემი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
23.30	082	სკანთორპი-კარლაილი	1,7	3,3	3,6	1,12	1,15	1,72
23.45	083	კემბრიჯი-სუონსი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
23.45	084	ჰადერსფილდი-იოვილი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
23.45	085	კიდერმინსტერი-ნორთჰემპტონი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
23.45	086	ლეიტონი-როვერსი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
23.45	087	მაკლსფილდი-ლინკოლნი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
23.45	088	მენსფილდი-ტორკი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
23.45	089	როჩდეილი-დონკასტერი	2,9	3,2	2,25	1,52	1,26	1,32
3 მარტი								
23.45	090	ბოსტონი-საუთენდი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
23.45	091	ოქსფორდი-იორკი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
ინგლისი. კონფერენსი. გადადებული მატჩები								
2 მარტი								
23.45	107	სკარბორო-ჰალიფაქსი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
23.45	108	შრიუსბერი-უოკინგი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
23.45	109	ტელფორდი-ჰერეფორდი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები								
2 მარტი								
23.30	125	ფოლკირკი-ინვერნესი	2,5	3,4	2,35	1,44	1,21	1,38
23.30	131	სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი	2,5	3,3	2,4	1,42	1,22	1,38
შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.								
2 მარტი								
23.30	132	ერდრი-ჰამილტონი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
23.30	133	დამბარტონი-სტენჰაუზმური	1,4	3,8	5,0	1,02	1,09	2,15
23.30	135	მორტონი-ალოა	1,7	3,6	3,6	1,15	1,15	1,8
შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩები.								
2 მარტი								
23.30	142	ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი	5,0	3,8	1,5	2,15	1,15	1,07
23.30	143	ელგინი-კოუდენბითი	4,4	3,6	1,6	1,98	1,17	1,1
23.30	144	გრეტნა-სტირლინგი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
იტალია. სერია B. XXX ტური								
4 მარტი								
23.30	188	ატალანტა-ვერონა	1,65	2,8	7,0	1,03	1,33	2
23.30	189	ბარი-ჯენოა	2,35	2,5	3,4	1,21	1,38	1,44
23.30	190	კალიარი-მესინა	1,75	2,6	6,0	1,04	1,35	1,81
23.30	191	კატანია-ტრევიზო	1,8	2,6	5,3	1,06	1,34	1,74
23.30	192	ფიორენტინა-სალერნიტანა	1,75	2,6	6,0	1,04	1,35	1,81
23.30	193	ლივორნო-ასკოლი	1,7	2,7	6,5	1,04	1,34	1,9
23.30	194	ნაპოლი-ტრიესტინა	1,85	2,6	5,0	1,08	1,35	1,71

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.30	195	პესკარა-პალერმო	2,9	2,5	2,7	1,34	1,39	1,29
23.30	196	პიაჩენცა-კომო	1,55	3,0	7,5	1,02	1,28	2,14
23.30	197	ტორინო-ტერნანა	2,05	2,6	4,2	1,14	1,37	1,6
23.30	198	ვენეცია-ალბინოლეფე	1,85	2,6	5,0	1,08	1,35	1,71
23.30	199	ვიჩენცა-აველინო	1,65	2,9	6,5	1,05	1,31	2

იტალია. სერია C1/A. XXIII ტური

3 მარტი

17.30	218	ვარეზე-ლუკეზე	2,7	2,5	2,8	1,29	1,37	1,32

ჰოლანდია. II დივიზიონი. XXVI ტური

2 მარტი

23.00	317	იგლსი-გრააფსხაპი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
23.00	318	ოსი-ჰერაკლესი	2,45	3,3	2,4	1,4	1,21	1,38

შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები

3 მარტი

22.30	376	სიონი-მეირინი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
22.30	377	ანიო-ვოლენი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54

ჩეხეთი. XVIII ტური

3 მარტი

19.00	400	ბანიკი-სინოტი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75

მექსიკა. კლაუსურა. V ტური

3 მარტი

06.45	479	სანტოსი-კრუს ასული	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69

შვეიცარია. თასი. 1/2 ფინალი

3 მარტი

23.15	501	გრასჰოპერი-ციურიხი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87

4 მარტი

23.15	502	სტ.გალენი-ვილი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67

საბერძნეთი. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები

4 მარტი

21.00	504	აეკ-ირაკლისი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46

საბერძნეთი. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები

3 მარტი

21.00	503	პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი	5,0	3,5	1,55	2,05	1,18	1,07

უეფას თასი. 1/16 ფინალი. II მატჩები

3 მარტი

19.15	517	გენჩლერბირლიგი-პარმა	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
20.00	518	დნიპრო-მარსელი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
20.30	519	რომა-გაზიანთეფი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
21.00	520	ტეპლიცე-სელტიკი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
21.00	521	დებრეცენი-ბრიუგე	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
21.45	522	ბორდო-გროცლინი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
22.30	523	ბეშიქთაში-ვალენსია	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
22.45	524	პანათინაიკოსი-ოსერი	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
23.10	525	ლევსკი-ლივერპული	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.30	526	პსვ-პერუჯა	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
23.45	527	ნიუკასლი-ვოლერენგა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
23.45	528	რუსენბორგი-ბენფიკა	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
23.45	529	ინტერი-სოშო	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
24.00	530	მალიორკა-სპარტაკი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
00.15	531	ბარსელონა-ბრიონდბიუ	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
00.30	532	ვილიარეალი-გალათასარაი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8

შემდეგ ეტაპზე გასვლა

3 მარტი

19.15	7001	გენჩლერბირლიგი-პარმა	1,3	2,8
20.00	7002	დნიპრო-მარსელი	3,3	1,15
20.30	7003	რომა-გაზიანთეფი	1,25	3,1
21.00	7004	ტეპლიცე-სელტიკი	10,0	1,0
21.00	7005	დებრეცენი-ბრიუგე	3,5	1,15
21.45	7006	ბორდო-გროცლინი	1,01	7,5
22.30	7007	ბეშიქთაში-ვალენსია	2,6	1,35
22.45	7008	პანათინაიკოსი-ოსერი	1,8	1,6
23.10	7009	ლევსკი-ლივერპული	6,5	1,01
23.30	7010	პსვ-პერუჯა	1,4	2,4
23.45	7011	ნიუკასლი-ვოლერენგა	1,01	6,5
23.45	7012	რუსენბორგი-ბენფიკა	2,7	1,25
23.45	7013	ინტერი-სოშო	1,05	5,0
24.00	7014	მალიორკა-სპარტაკი	1,0	20,0
00.15	7015	ბარსელონა-ბრიონდბიუ	1,01	10,0
00.30	7016	ვილიარეალი-გალათასარაი	1,1	4,0

ლიბერტადორესის თასი

2 მარტი

02.00	533	პენიაროლი-სან კაეტანო	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
04.15	534	ინდეპედიენტე-ელ ნასიონალი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
04.25	535	კარაკასი-კონსეპსიონი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
06.30	536	დეპორტივო-ბოლივარი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75

3 მარტი

00.30	537	ფენიქსი-მარაკაიბო	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
02.45	538	ვილსტერმანი-ვუარანი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
02.45	539	ბოკა ხუნიორსი-კოლო კოლო	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
05.00	540	ბარსელონა-სანტოსი(ბრ)	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38

4 მარტი

02.00	541	ნასიონალი-სენსიანო	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
04.15	542	უნივერსიტარია-სან პაულუ	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
04.15	543	როსარიო-კურიტიბა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
06.30	544	ალიანსა-კობრელოა	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72

რაგბი. ექვსი ერის თასი

6 მარტი

17.30	901	იტალია-შოტლანდია	2,5	14,0	1,45	2,12	1	1,31
20.00	903	ინგლისი-ირლანდია	1,03	25,0	7,5	1	1	5,76

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		7 მარტი						
19.00	905	უელსი-საფრანგეთი	4,0	17,0	1,2	3,23	1	1,12
		ჰოკეი. რუსეთი						
		2 მარტი						
13.00	1001	ამური-ასკ	1,5	5,0	3,8	1,15	1,07	2,15
15.30	1002	ნოვოკუზნეცკი-დინამო	1,9	4,6	2,5	1,34	1,07	1,61
16.30	1003	სიბირი-მაგნიტოგორსკი	4,2	5,3	1,4	2,34	1,04	1,1
16.30	1004	ავანგარდი-ლოკომოტივი	1,6	5,0	3,4	1,21	1,08	2,02
19.30	1005	ხიმიკი-ტორპედო	1,2	6,5	6,5	1,01	1,01	3,25
19.30	1006	აკ ბარსი-ლადა	1,7	4,6	3,1	1,24	1,09	1,85
19.30	1007	ნეფტეხიმიკი-ს.იულაევი	1,35	5,0	5,0	1,06	1,06	2,5
20.00	1008	ცსკა-სევერსტალი	1,85	4,8	2,5	1,33	1,06	1,64
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		3 მარტი						
19.45	1032	ზნოიმო-სლავია	2,1	4,2	2,4	1,4	1,12	1,52
23.00	1033	სპარტა-ვიტკოვიცე	1,4	4,6	5,0	1,07	1,09	2,39
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		2 მარტი						
20.00	1049	პოპრადი-ტრენჩინი	4,0	4,4	1,5	2,09	1,09	1,11
20.00	1050	მიკულაში-ზვოლენი	2,8	4,0	1,85	1,64	1,11	1,26
		ჰოკეი. გერმანია						
		2 მარტი						
22.30	1062	ნიურნბერგი-იზერლონი	1,3	5,6	5,3	1,05	1,04	2,72
23.00	1063	კრეფელდი-დიუსელდორფი	2,2	4,4	2,25	1,46	1,11	1,48
		ჰოკეი						
		შვეიცარია						
		2 მარტი						
22.30	1083	ლუგანო-ფრიბურგი	1,25	5,6	6,5	1,02	1,04	3
22.30	1084	ბერნი-ცუგი	1,35	5,0	5,0	1,06	1,06	2,5
22.30	1085	სერვეტი-ამბრი	1,65	4,6	3,3	1,21	1,1	1,92
22.30	1086	დავოსი-ციურიხი	1,8	4,4	2,8	1,27	1,09	1.71
		ჰოკეი						
		ფინეთი						
		2 მარტი						
20.30	1121	ილვესი-კერპეტი	2,6	4,4	1,9	1,63	1,09	1,32
20.30	1122	ლუკო-ჰელსინკი	1,9	4,4	2,6	1,32	1,09	1,63
20.30	1123	პელიკანსი-სეიპა	2,1	4,8	2,1	1,46	1,04	1,46
20.30	1124	ტურკუ-იუვესკიულე	1,4	4,8	4,6	1,08	1,07	2,34

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

06.03	18.30	6001	გერმანია ბლ (XXIII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
06.03	21.00	6002	იტალია A (XXIV)	23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1.9
06.03	22.30	6003	ესპანეთი Iდ (XXVII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1.9
05.03	23.00	6004	საფრანგეთი Iდ (XXVII)	21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1.9
05.03	01.30	6005	პორტუგალია სლ (XXV)	22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1.9
05.03	23.00	6006	ჰოლანდია Iდ (XXIV)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1.9
05.03	23.30	6007	ბელგია Iდ (XXV)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

ჩემპიონები და თასის აღება

9001
ინგლისი (13.03)

არსენალი	1,04
მანჩესტერი	6,0
ჩელსი	10,0

9002
გერმანია (06.03)

ვერდერი	1,5
ბაიერნი	2,1
შტუტგარტი	15,0

9003
იტალია (06.03)

მილანი	1,35
რომა	4.0
იუვენტუსი	5,0

9004
ესპანეთი (06.03)

რეალი	1,01
ვალენსია	9,0
დეპორტივო	12,0

9005
საფრანგეთი (05.03)

მონაკო	1,25
ლიონი	3,2
პსჟ	5,6

9006
პორტუგალია (05.03)

პორტუ	1,01
სპორტინგი	10,0
ბენფიკა	30,0

9007
ჰოლანდია (06.03)

აიაქსი	1,02
პსვ	6,0

9008
ავსტრია (06.03)

აუსტრია	1,5
რაპიდი	3,5
გრაცერი	3,8

9009
დანია (14.03)

ბრიონდბიუ	1,3
ესბიერგი	4,0
კოპენჰაგენი	5,0

9010
საბერძნეთი (13.02)

ოლიმპიაკოსი	1,6
პანათინაიკოსი	2,0

9011
უკრაინა (07.03)

შახტარი	1,55
დინამო	1,95

9020 ჩემპიონთა თასი (09.03)
რომელი ძვეყნის გუნდი აიღებს თასს

ინგლისი	1,6
იტალია	2,5
ესპანეთი	2,7
საფრანგეთი	11,0
გერმანია	12,0

9020 ჩემპიონთა თასი (09.03)

რეალი	4,0
არსენალი	4,4
მანჩესტერი	4,8
მილანი	4,8
ჩელსი	5,3
იუვენტუსი	5,6
დეპორტივო	12,0
ბაიერნი	16,0
ლიონი	20,0
მონაკო	25,0
პორტუ	25,0
სოსიედადი	50,0
შტუტგარტი	50,0
სელტა	75,0
ლოკომოტივი	75,0
სპარტა	125,0

9022
უეფას თასი (26.02)

ბარსელონა	5,0
ინტერი	5,0
ლივერპული	5,0
რომა	5,6
ვალენსია	5,6
ნიუკასლი	7,0
სელტიკი	10,0
მარსელი	15,0
პარმა	20,0
ბორდო	20,0
მალიორკა	20,0
პსვ	20,0
ვილიარეალი	20,0
ოსერი	25,0
ბრიუგე	30,0
ბენფიკა	30,0
ბეშიქთაში	30,0
პანათინაიკოსი	30,0
გალათასარაი	40,0
პერუჯა	50,0
სოშო	50,0
რუსენბორგი	50,0
გენჩლერბირლ.	50,0
გასიანთეფი	75,0
ბრიონდბიუ	100,0
დნიპრო	100,0
გროცლინი	200,0
დებრეცენი	250,0
ვოლერენგა	250,0
ტეპლიცე	300,0
ლევსკი	300,0
სპარტაკი	300,0

9031
NHL (05.04)

კოლორადო	4,0
დეტროიტი	5,0
ფილადელფია	5,5
ვანკუვერი	6,0
ნიუ ჯერსი	6,5
ოტავა	7,0
ტორონტო	7.5
სტ.ლუისი	15,0
დალასი	12,0
ბოსტონი	18,0
სან ხოსე	15,0
ტამპა ბეი	15,0
ლოს ანჯელესი	25,0
კალგარი	30,0
აილენდერსი	40,0
მონრეალი	40,0
ნეშვილი	40,0

9032
NBA (15.04)

ლეიკერსი	2,0
საკრამენტო	3,5
სან ანტონიო	5,0
მინესოტა	6,0
დალასი	8,0
ინდიანა	10,0
დეტროიტი	15,0
ნიუ ჯერსი	12,0
ნიუ ორლეანი	30,0
ჰიუსტონი	50,0
ფილადელფია	75,0
ბოსტონი	75,0
დენვერი	75,0
ნიუ იორკი	60,0
ტორონტო	75,0
მილუოკი	75,0
პორტლენდი	100,0
მემფისი	75,0

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური

საქართველო — რუსეთი

6 მარტი. თბილისი. «ლოკომოტივი». 16 საათი

ძველი ცოცხი უკეთ დაგვის

ტრიბუნაზე სორელი იჯდება

ახალმა მწვრთნელებმა ნაკრებში კლოდ სორელის მიერ დაწუნებული მევლუდ მთიულიშვილი დააბრუნეს

შაბათს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ყველაზე სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს. ერთა თასის გათამაშების მესამე ტურში მრავალგზის გამწარებულ რუსეთს უნდა ვუმასპინძლოთ. ჩვენი ეროვნული გუნდი კი ჯერაც შეუკრავი და ჩამოუყალიბებელია. მწვრთნელთა კვარტეტმა შემადგენლობა ერთხელაც გადაახალისა და 22 მოთამაშესთან ერთად ტრადიციულად გეზი მცხეთისკენ აიღო. სარუსეთო ოცდაორიდან, თერთმეტი „ფრანგი" ლეგიონერია. მათ შორის არიან ვიქტორ დიდებულიძე და გია ლაბაძე, რომელთაც მანამდე ნაკრებში თამაშს თავი კი დაანებეს, მაგრამ რუსეთთან კიდევ ერთ ჯახზე მოწვეულებს უკან არ დაუხევიათ.

ტრავმის გამო ნაკრებს ვერ მიეხმარებიან ირაკლი მაჩხანელი, გრეგუარ იაშვილი, გოდერძი შველიძე, ბესიკ უდესიანი, გია ჩხაიძე, ლევან ჯაველიძე და ზურაბ მჭედლიშვილი. ავთო კოპალიანის, ვასილ კაცაძის, ბობა კვინიხიძის, კახა ალანიას, ზვიად მაისურაძისა და ირაკლი მოდებაძის გამოძახებისგან კი თავი მწვრთნელებმა შეიკავეს.

„ლელოები" საგურამოში ორჯერად ვარჯიშებს ჩაატარებენ, „ლოკომოტივზე" კი სავარაუდოდ, მატჩის წინა დღეს გაირბენენ. თუმც გამორიცხული არაა, ოთხეულმა თამაშის წინ მხოლოდ დამრტყმელები ჩამოიყვანოს.

„ვისაც შევგვეძლო, ყველას დავუკავშირდით — გვითხრა მიხეილ ბურძგლამ — ესპანეთთან ნათამაშები რამდენიმე მორაგბე სარუსეთო განაცხადში ვერ მოხვდა, მაგრამ ეს მათზე უარის თქმას არ ნიშნავს. უბრალოდ, ამ ეტაპზე ასე მივიჩნიეთ საჭიროდ. გუნდი მოედანზე მოსაგებად გავა. მოახერხებს თუ ვერა, ამას თამაში დაგვანახებს."

საქართველოს ნაკრები

შერკინება

მევლუდ მთიულიშვილი
დავით დადუნაშვილი
დავით ხინჩაგაშვილი
სანდრო ესაკია
მიხეილ სუჯაშვილი
ილო ზედგინიძე (კაპ)
მამუკა გორგოძე
ვიქტორ დიდებულიძე
გია ლაბაძე
დავით ბოლღაშვილი
რატი ურუშაძე
ილია მაისურაძე

უკანა ხაზი

ბესიკ ხამაშურიძე
მალხაზ ურჯუკაშვილი
ნონო ანდღულაძე
ლექსო გუგავა
თედო ზიბზიბაძე
პალიკო ჯიმშელაძე
ოთარ ბარკალაია
ლაშა ფირფილაშვილი
ბიძინა სამხარაძე
მერაბ კვირიკაშვილი

სხვათა შორის, მატჩს ტრიბუნიდან თვალს მიადევნებს კლოდ სორელიც. ბორჯღალოსანთა ყოფილი თავკაცი დღეს, სამ ფრანგ ჟურნალისტთან ერთად პარიზი-თბილისის ავიარეისით ჩამოფრინდება.

ოთარ მალლაბელიძე

ბორჯღალოსნები რუს „დათვებთან" აგერ რამდენი წელია, დაუმთავრებელ ომს აწარმოებენ. იმდენჯერ შეხვედრიან, რომ ერთმანეთისა თითქმის ყველაფერი იციან. როდესაც რუსები ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი მწვრთნელი ალექსანდრ პერვუხინი ამბობს, სამივე „ფრანგით" გრაჩოვ-რაჩკოვ-სერგეევით და მათთან რუსეთის ჩემპიონატის ვარსკვლავ ზიკოვით ჩამოვდივართო, ეს ნიშნავს, რომ რუსი „დათვები" მადაზე არიან და მხოლოდ გამარჯვება თუ დაანაყრებთ

ალექსანდრ პერვუხინი

ყველანი მოვდივართ

ბესიკ ფრიდონაშვილის ფოტო

— როდისთვის გეგმავთ თბილისში ჩამოსვლას?

— 5 მარტს, რუსეთის დროით 11 საათზე მოსკოვიდან ჩარტერული რეისით გამოვფრინდებით და იმედია, საღამოს ვარჯიშსაც მოვასწრებთ.

— ნაკრების საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერები თუ ჩამოვლენ?

— რა თქმა უდა, რაჩკოვი, გრაჩოვი და სერგეევი მწყობრში არიან, ისევე როგორც ნაკრების სხვა წევრები. ძირითადი ბირთვიდან არავინ არის ტრავმირებული, თბილისს ზიკოვიც ეწვევა.

— საქართველოს ნაკრები თქვენთვის უხერხული მეტოქეა, როგორ ფიქრობთ, ფსიქოლოგიურად გაგიჭირდებათ?

— ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის მოვდივართ და ფსიქოლოგიურადაც მშვენივრად ვართ განწყობილნი. ასე რომ, ვფიქრობ, სერიოზული ბრძოლა გველის, დაძაბული მატჩი იქნება.

— უკვე იცით, სად იცხოვრებთ?

— ახლაც იგივე სასტუმროში გაჩერდებით, სადაც შარშან ვიყავით. იმედია, საქართველოს რაგბის კავშირი ყველანაირ პირობას შეგვიქმნის, რათა ნორმალურად შევხვდეთ მატჩს.

ნინო ლეჟავა

რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი ჯანმრთელი?

სპორტის და კულტურის მინისტრმა მომჩივანები გაიცნო

ბადრი კოპაძის ფოტო

გიორგი გაბაშვილი და ირაკლი მეძმარიაშვილი

გუშინ სპორტის აკადემიის დარბაზში შეიკრიბა ქართული სპორტის ნაღები, როგორც შემდგომ ენოდა. ფედერაციათა ჩინოსან-უჩინოებს, მოქმედ და ვეტერან სპორტსმენებსა და ჟურნალისტებს კულტურისა და სპორტის ახალი მინისტრი გოკა გაბაშვილი შეხვდა.

ორსაათიანი პრესკონფერენციის ძირითადი მიზანი სპორტის ახალი წინამძღოლის გაცნობა იყო და გამომსვლელებმა თავიანთ გასაჭირზე საუბრამდე მილოცვებიც არ დაივიწყეს. მოხსენებები დაახლოებით ერთნაირი შინაარსის იყო: სახელმწიფოსგან ყველა მოითხოვდა სპორტადმი მეტ ყურადღებას ანუ ფინანსებს და ფინანსების არდაგვიანებას.

მრავალი გამოვიდა თხოვნით, მოწოდებით, რჩევით, ტკბილი მოგონებით, ბოლო და ომახიანი სიტყვა კი თავისთავად მინისტრმა თქვა

შოთა ხაბარელი, ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი: „ვულოცავ ახალ მინისტრს თანამდებობას, რომელსაც პროფესიონალიზმთან ერთად იღბალიც სჭირდება. იმედია, მდგომარეობა, რომელშიც ვართ ჩავარდნილი, გამოსწორებისკენ წავა. მეორე წელია, ათენისთვის ვემზადებით. შვიდიდან ექვს წონაში ლიცენზიაც გარანტირებულია, მაგრამ ეს წარმატებები ძალიან ძვირი გვიჯდება. 6-7 თვეა, კაპიკი არ მიგვილია მაშინ, როცა ქვეყნები მილიონებს ხარჯავენ და შედეგს ვერ აღწევენ. შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ნასესხები ფულიც არ გაგვისტუმრებია. კარსაა მომდგარი თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომლის შესანარჩუნებლად ბევრი ბრძოლა გადაგვხდა. მას A კატეგორიაც მისცეს და ოლიმპიური ლიცენზიებისთვის საჭირო ქულებსაც იძლევა, მაგრამ გაპარტახებულმა სპორტის სასახლემ შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაგვიყაროს. ტურნირამდე ერთი თვეა და იქაური პირობები ოდნავ მაინც უნდა გუმჯობესდეს."

გურამ სალარაძე, ჭიდაობის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი: „ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველ რიგში მოსაგვარებელი სპორტის მასიურობის პრობლემაა. ბევრი სახეობა, მათ შორის ჭიდაობაც სოფლიდან მოდის და ამ კომპონენტს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ყველა ერთად უნდა დავდგეთ სპორტის ასაღორძინებლად..."

ოლეგ იაძე, სამბისტთა ნაკრების მწვრთნელი: „ვინ იცის, რამდენი ხანია, ხელისუფლების ყველა ნაბიჯს იმედით ვუყურებთ, მაგრამ იმედი სულ იმედადვე გვრჩება. არადა, რატომ უნდა გვიჭირდეს ასე? მეოცე საუკუნის სპორტსმენი ვერ შეგვინახია. ოლიმპიური ჩემპიონი გვენატრება. ეს აუტანელი პირობების ბრალია და არა ტალანტების ნაკლებობის. სპორტი პრიორიტეტი უნდა გახდეს. ვერც კულტურით, ვერც პოლიტიკით და სხვა სფეროებით იმდენს ვერ მივაღწევთ, რამდენსაც სპორტით..."

დავით ციმაკურიძე, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი: „ვიცი, ყველას უჭირს, მათ შორის მეც, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ. ოთხი კაციღა ვართ, ვისაც სახელმწიფომ დახმარება დაგვინიშნა. მე, ჩიმიშკიანი, შავლაყაძე და მზია ჯუღელი 150 დოლარს ვიღებდით, თუმც უკვე ექვსი თვეა, ამაოდ ველით..."

თამაზ მდინარაძე, მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი: „მომავალ წელს ვიქტორ სანეევი 60 წლის ხდება. საერთაშორისო ფედერაციამ გამოყო თანხა ღონისძიებათა ჩასატარებლად და სტუმრობასაც აპირებენ. რომ იკითხონ, გვაჩვენეთ, სად გაიზარდა სანეევი და შავლაყაძეო, სად წავიყვანო? ამა თუ იმ ტურნირის მასპინძლობაზე ჩაწყობები მიდის. ჩვენ კი ვიმალებით. გვეშინია, არ გვთხოვონ, თქვენ ჩაატარეთო. კარგი იქნება, თუ ყურადღებას მოგვაქცევთ."

ირაკლი მეძმარიაშვილი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე: „კულტურისა და სპორტის შეერთებით ცუდი არაფერი მომხდარა. პირიქით, მთავრობამდე ხმის მიწვდენის პრობლემა მოგვარდება. ოთხი თვეა, ერთი თეთრიც არ მიგვილია. თუ ფინანსთა მინისტრს ისეთივე შეხედულება აქვს, როგორიც ადრე ჰქონდა, მე წავალ..."

გიორგი გაბაშვილი, ახალი მინისტრი: „ყველას მადლობა პირდაპირი საუბრისთვის. პრობლემების დამალვა არც მე მიყვარს. პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ეს არის ერთიანი მთავრობა და სპორტის წარუმატებლობა ფინანსთა მინისტრისთვის იგივე იქნება, რაც ხელფასების და პენსიების გაუცემლობა. ყველანაირად ვეცდები, სახელმწიფოებრივი მიზანი სპორტის საზოგადოებასთან დაახლოება გახდეს. პრობელმათა მოგვარება ელემენტარულიდან, ფიზიკური აღზრდის ზოგადი დონის მოწესრიგებიდან უნდა დაიწყოს. უნდა გამაგრდეს ის საფუძვლები, ახალგაზრდებს სპორტისადმი ინტერესს რომ გაუღვივებს.

...მარტო სახელმწიფო სპორტს არ უნდა ინახავდეს. ასე არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება. აუცილებელია კერძო კაპიტალის მოზიდავაც, ოღონდ ისე, რომ სპონსორებს თავის გამოჩენის არ ეშინოდეთ. სპონსორის ინსტიტუტი გამართული სახით უნდა ჩამოყალიბდეს. ჯობს, სახელმწიფოს საამისო პირობების შექმნა მოვთხოვოთ. მექანიზმის შეცვლა გაცილებით მომგებიანი იქნება, ვიდრე ფინანსების გაზრდა. ყველაფერი რომ ხელუხლებლად დავტოვოთ და მარტო ჯიბე გავზარდოთ, არაფერი გამოგვივა."

ოთარ მალლაბელიძე

საქართველოს თასი. მეორე ეტაპი. ბათუმი 1-3 მარტი

1 თებერვალი. ბათუმი

დინამო 83:59 რუსთავი

22:12 24:15 15:18 22:14

დინამო: ულენტი, ხოშტარია (20), გოგობერიშვილი (15), კეიდია (4), მუშკუდიანი (16); ჩუბინიძე (10), ბეჟანიშვილი (9), ლოსაბერიძე (4), აბულაძე (3), გამყრელიძე (2)

რუსთავი: არწივიძე (6), ჩაჩუა (7), ჯიმშელეიშვილი (10), დანელიანი (12), ტყეშელაშვილი (13); ლიპარტელიანი (5), გოგსაძე (3), ჭოჭუა (3), ტაველიშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

ბასკო 86:83 სტუ

19:13 23:24 22:20 22:26

ბასკო: ი. ბერიშვილი (8), ბ. ბერიშვილი (12), კეშელავა (8), ტუჯანი (8), ბერძენიშვილი (21); იმნაძე (10), დ. ბერიშვილი (10), კვიმსაძე (6), როდუმტა (3)

სტუ: ნიკოლაძე (17), ხეცურიანი (10), მარკოიშვილი (3), შანიძე (8), ჯაფარიძე (10); ბაბიაშვილი (19), გაგნიძე (7), ახალკაცი (6), დავითულიანი (3), მიქაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ გელოვანი

არ გაგვიგდია, სახლში დავტოვეთ

დინამომ ბრაიკოვიჩი დატუქსა

ირაკლი პერტაია *ბათუმიდან*

თასის გათამაშების მეორე ეტაპი გუშინ ბათუმში მშვიდ ატმოსფეროში დაიწყო და დიდ ღრიანცელში გადაიზარდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ პირველ მატჩში აჭარელთა საქომაგო „ბასკო“ არ თამაშობდა, თანაც „დინამო“ „რუსთავის“ შეხვედრას წმინდა ფორმალურ ხასიათი ჰქონდა და აი რატომ: დინამოელები დაარხეინებული ჩამოვიდნენ ბათუმში, რაკი პირველ ეტაპზე რუსთავში ყველა მატჩი მოიგეს და დასუსტებული ქვემოქართლელების ძლევა მათთვის ერთი ხელრიანი გავარჯიშების ტოლფასი იყო.

ისედაც ბედის ანაბარა დარჩენილი რუსთაველები ბათუმში ორი გამოცდილი მოთამაშის მიხეილ ბერუაშვილისა და ზაზა გაბისონიას გარეშე ჩამოვიდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ყველა მატჩში წასაგებად არიან განწირულნი. თუმც თუ დანაკლისზეა საუბარი, დინამოელებმა უფრო სოლიდური ძალა მოისაკლისეს. ქვეყნის ჩემპიონი ბათუმს მთავარი მწვრთნელის დრაჟენ ბრაიკოვიჩისა და მისი თანაშემწის ზურაბ ტომარაძის გარეშე ჩავიდა. რომ დავეკითხეთ, დინამოელთა პრეზიდენტმა კახა ნუცუბიძემ მოგვიგო, ეს გუნდის პრობლემაა, რაზეც ღიად საუბარი არ ღირსო. „დინამოს“ უფროსმა იქვე დაამატა, არ გეგონოთ, ბრაიკოვიჩი გუნდიდან გამეშვას, ის უბრალოდ ბათუმში არ წამოვიყვანეო.

ასე იყო თუ ისე, „დინამოს“ „რუსთავთან“ არ გასჭირვებია, ბრაიკოვიჩი კი არა, ჩემპიონებს მესამე მწვრთნელი დავით უსტიაშვილიც რომ არ ჰყოლოდათ, ისე უნდა მოეგოთ რუსთაველი ბიჭბუჭობისთვის და ასეც მოხდა. ამ მატჩის მთავარი და, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალური შტრიხი ის გახლდათ, რომ რუსთაველების წინააღმდეგ პირველად ითამაშა წლების მანძილზე, ქვემოქართლელთა ერთგულმა და ძველი „აზოტის“ ერთგვარმა სიმბოლომ რამაზ გოგობერიშვილმა, ვისაც, ვინ იცის, დიდად არ ეპიტნავებოდა თანაქალაქთა დამწუხრება, მაგრამ...

ამ მატჩში მითვლემილმა მაყურებელმა მომდევნო ჯახში გამოიღვიძა — „ბასკომ“ და სტუ-მ მოედანი ნამდვილ ბრძოლის ველად გადააქციეს. ბათუმელები რთული ამოცანის წინაშე იდგნენ, მათ უბრალო გამარჯვება კი არა, მინიმუმ 16 ქულით მოგება სჭირდებოდათ, რადგან თავი კომფორტულად ეგრძნოთ დარჩენილ მატჩებში. საქმე ის გახლდათ, რომ პირველ ეტაპზე, სტუ-ს 15 ქულით დაემარცხებინა ბათუმელები და თუ ეს გუნდები ამ ეტაპს ცხრილში თანაბარი ქულებით გაასრულებენ — და ყველაფერიც აქეთკენ მიდის — ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსის მქონე ტექნიკოსები გავლენ ფინალში. ამხელა დეფიციტის გაბათილება „ბასკოსთვის“, მით უმეტეს ბათუმში, მთლად უტოპიას არ წარმოადგენდა და ნუგზარ კანდელაკის ბიჭებიც თავიდანვე შემართებით ეკვეთნენ ტექნიკოსებს.

პირველ მეოთხედში შედარებით წყნარი თამაში იყო, ორივე გუნდი ფრთხილობდა და დამუშავებული კომბინაციებით ცდილობდა ხეირის პოვნას. „ბასკომ“ ყურადღება უფრო დაცვაზე გადაიტანა და საკუთარ ფარზე მისასვლელი გზები საიმედოდ ჩარაზა. ტექნიკოსთა ბასრი იარაღი სწრაფი კონტრშეტევები, თავიდან ფარს წაეწყდა და თბილისელებმაც მთელი გულისყური შორეულ სროლებზე გადაიტანეს.

ნიკოლაძისა და მარკოიშვილის სამქულიანებით სტუ დებიუტში დაწინურდა, თუმც ბათუმელთა ფარქვეშა იმედმა დავით ბერძენიშვილმა მალე აუღო ალღო მეურვე ირაკლი ჯაფარიძესთან თამაშს და „ბასკო“ საწყისი ათწუთეულის შუაში წინ წავიდა. „ბერძენას“ ჟოლივეტ ტუჯანმაც მიაშველა ხელი და ტექნიკოსთა თავკაცი ნუგზარ ჭეიშვილი იძულებული გახდა, ჩუბინი ლუკა შანიძის ნაცვლად მოედანზე ფარქვეშა ორთაბრძოლებში გაწაფული ზვიად ბაბიაშვილი გამოეყვანა. ბაბიაშვილმა სამწამიანში მთლად გაბატონება ვერა, მაგრამ „ბასკოს“ მეფარეების შევიწროება მოახერხა და ნუგზარ კანდელაკმაც მეორე მეოთხედში ახლებური ტაქტიკით შეუტია ტექნიკოსებს.

მასპინძლებმა ყურადღების მეტი წილი უკანახაზელებზე ანუ სწრაფ თამაშზე გააკეთეს და მოედანზე ტყუპ ბერიშვილებთან ერად მსროლელი ბუბა კვიმსაძე გამიყვანეს. ისეთი სწრაფი თამაში გახურდა, კაცს ბურთისთვის თვალის მიდევნება გაუჭირდებოდა. ასეთი ტემპში ბურთაობას თითქოს ტექნიკოსთათვის უნდა მოეტანა ხეირი, რაკი ჭეიშვილის შეგირდები მუდამ სწრაფ თამაშს ეშურებიან და ძირითადად ამის ხარჯზე ჯაბნიან ხოლმე მეტოქეს. თუმც ტყუპებმა ისე სერეს ტექნიკოსთა დაცვა, რომ თბილისელებს თავბრუ დაახვიეს და „ბასკომაც“ დიდ შესვენებამდე 13-ქულიან უპირატესობას მიაღწია — 41:28 ბათუმელებმა ამ დროს ალბათ უკვე მომდევნო ტაიმზე იწყეს ფიქრი, ბოლო წამებზე თბილისელთა რამდენიმე შეტევა გამოეპარათ და შესვენებაზეც ოდენ 5 ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

თამაში განახლდა და კატათაგვობანაც დაიწყო. გაიჭირვებდნენ ბათუმელები, 10-ქულიან ლიდერობას მოიპოვებდნენ, მაგრამ ნიკოლაძე გამოეპარებოდათ პერიმეტრზე, ხან ფარქვეშ დადარაჯებული ჯაფარიძე და ყველაფრის თავიდან დაწყება უხდებოდათ.

უკანასკნელი მეოთხედი ბათუმელთა 7-ქულიანი ლიდერობით განახლდა და ნუგზარ კანდელაკმა თავიდან სამარქაფო მეფარეებს, პლასიდე როდუმტასა და დავით იმნაძეს მიანდო სამწამიანი. ამით „ბასკოს“ მწვრთნელი ბერძენიშვილისა და ტუჯანის გადამწყვეტი წუთებისთვის შემონახვას ეშურებოდა, რომლებსაც 4-4 პერსონალური დაჰგროვებოდათ, თუმც ბათუმელები მაინც ვერ ასცდნენ ძირითადი მეფარეების დაკარგვას. სირენამდე 5 წუთით ადრე კამერუნელი გავარდა, რომელსაც მალე „ბერძენა“ მიჰყვა. თითქოს ყველაფერიც აქ დამთავრდა, ულიდერობოდ დარჩენილი „ბასკო“ ოდენ 9 ქულას იგებდა...

თამაშის დასრულებამდე 3 წუთი რჩებოდა. ბასკელმა ბუბა კვიმსაძემ ერთი ეპიზოდში რომ გაილაღა და მას მანამდე ჩრდილში მყოფმა იმნაძემაც აუბა მხარი. ბათუმელებმა 12-ქულიან უპირატესობასაც უწიეს და დარჩენილ 60 წამში 4 ქულის მოგებაღა სჭირდებოდათ. დარბაზი ლამის დაინგრა, პატარა სენსაციის სუნი დატრიალდა, მაგრამ ეულად მეოხი ბუბა ბერიშვილი ვერას გახდა დინჯად მობურთალი ტექნიკოსების წინააღმდეგ. ბათუმელებმა რამდენიმე შეტევა ქარს გაატანეს და სტუ საბოლოოდ სასურველ დასასრულამდე მიიყვანა მატჩი.

დღეს ალბათ „ბასკოს“ ბედი საბოლოოდ გაირკვევა. თუ სტუ-მ „დინამოც“ დაამარცხა, ბათუმელები სავარაუდოდ ფინალის მიღმა დარჩებიან, რაკი მათ ბოლო ტურში დინამოელთა მინიმუმ 20 ქულით ძლევა დასჭირდებათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ.ჭარაგ დოლიძაშვილის ფოტო

დრაჟენ ბრაიკოვიჩს შინაპატიმრობა მიუსაჯეს

ვ.ჭარაგ დოლიძაშვილის ფოტო

გუშინ რამაზ გოგობერიშვილმა თავის ყოფილ გუნდ „რუსთავს“ 15 ქულა ჩაუგდო

NBA რეგულარული ჩემპიონატი

29 თებერვალი

დენვერი 107:96 ნიუ იორკი

დენვერი: მილერი (9 ქულა, 11 პასი, 5 ჩაჭრა), ლენარდი (16), ენტონი (25), ნენე (11), ელსონი (12); ბოიკინსი (11), ვაიტი (10), ანდერსენი (7), დოლიკი (4), ბერი (2)

ცაბიტიშვილი სათადარიგო იყო

ნიუ იორკი: მარბერი (5 ქულა, 10 პასი), ჰიუსტონი (13), ტ. ტომასი (16), სვიტნი, კ. ტომასი (18 ქულა, 11 მოხსნა); ანდერსონი (17), ჰარდეევი (15), უილიამსი (4), მუტომბო (4), მუჰამედი (2), ჰარინგტონი (2)

ფილადელფია 81:74 მინესოტა

ფილადელფია: მაკკი (18)

მინესოტა: გარნეტი (27 ქულა, 15 მოხსნა)

ნიუ ჯერსი 83:100 ლეიკერსი

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (19)

ლეიკერსი: ონილი (19 ქულა, 14 მოხსნა), პეიტონი (16)

ტორონტო 82:91 ბოსტონი

ტორონტო: პალასიო (19), მარშალი (18 ქულა, 10 მოხსნა)

ბოსტონი: პირსი (22)

კლიპერსი 88:100 დეტროიტი

კლიპერსი: ბრენდი (26 ქულა, 10 მოხსნა), რიჩარდსონი (22 ქულა, 10 მოხსნა)

დეტროიტი: ბილაფსი (28), ჰამილტონი (21)

მილუოკი 108:104 მაიამი

მილუოკი: რედი (27), მეისონი (21)

მაიამი: ჯონსი (25), ოდომი (22)

ჰიუსტონი 80:97 სიეტლი

ჰიუსტონი: ფრენსისი (15)

სიეტლი: ლუისი (22), რადმანოვიჩი (18 ქულა, 11 მოხსნა)

საკრამენტო 108:94 ფინიქსი

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (32), კრისტი (28 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა)

ფინიქსი: სტუდემაიერი (33 ქულა, 17 მოხსნა)



ნიუჯერსელი რიჩარდ ჯეფერსონი შაკილ ონილს არ შეეპუა



გუსტავო კუერტენი

მშობლიურო ჩემო თიხავ!

OPEN 13
მარსელი. ჰარდი
საპრიზო 593 750 $

ფინალი

დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 4:6, 6:4, 6:4

26 წლის დომინიკ ჰრბატის ამ სეზონამდე სულ სამი ტურნირი მოეგო. წლეულს კი მას ისე აეწყო საქმე, რომ სამი ტურნირის მოგება უკვე ორ თვეში მოასწრო. სანამ მარსელში გაილაღებდა, მან იანვარში ადელაიდასა და ოკლენდშიც იპირველა.

ფინალურ შეხლაში ჰრბატის 19 წლის ნიჭიერ შვედ რობინ სოდერლინგთან წაგებული პირველი სეტის შემდეგ ორის უკუგება მოუხდა. ეგ მით უფრო დასაფასებელია იმის გამო, რომ სლოვაკი სიცხიანი თამაშობდა და გადამწყვეტ სეტში კორტზე ექიმიც კი გამოიხმო.

რობინს დიდი მომავალი აქვს, მაგრამ ასეთი მატჩების მოსაგებად ჯერ კიდევ რალაც-რალაცები უნდა დაამუღამოსო, ასე ამბობდა ის ძლეული მეტოქის შესახებ ნამატჩევს.

თავად სოდერლინგი კი, ვისთვისაც ეს შარშანსაოქტომბრული სტოკჰოლმური ფინალის შემდეგ მეორე წაგებული ფინალი გახლდათ, ჰრბატის ეხოტბებოდა და — ასე თუ გააგრძელა, მალე ზეპურ მარაქაშიც გაერევაო — ასე დასძენდა.



დომინიკ ჰრბატი

გაერევა თუ არა — სიმართლე უნდა ვთქვათ და — ეგ ამბავი ჯერ გრამოფონშია. მაგრამ ხალთაში ვერც იმას დავმალავთ, რომ 17 მოგებასა და სამ ტიტულს წლეულს ჰრბატის გარდა სხვა ვერაკაცი დაიკვეხს.

ჰო, მართლა, ტიტულის გარდა გამარჯვებულს 82 900 ევროც ერგო.

ბრაზილიის ღია პირველობა
კოსტა დუ საუიპე. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

ფინალი

გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია) — აგუსტინ კალიერი (არგენტინა) 3:6, 6:2, 6:3

გუსტავო კუერტენი მშობლიურ თიხამიწაზე მეოცე საკარიერო და 2001 წლიდან პირველ, ხოლო ჯამში მეთოთხმეტე სათიხნარო ტიტულს რომ მოირეწდა, ამაში ეჭვი, სხვები არ ვიცით, ჩვენ დასტურ არ გვეპარებოდა.

რწმენა არც მაშინ შეგვრყევია, როცა შაბათს გადამწყვეტი სეტისას კორტზე წვიმამ მოასხა და ჩოგნიდან უპირატესობაგაშვებულ კალიერის ამოსუნთქვისა თუ აზრზე მოსვლის საშუალება მისცა.

ჰოდა, ყველაფერი საბოლოოდ ისე მოგვარდა, როგორც რომ საჭირო იყო — გუგამ არგენტინელს მეხუთე პირად შეხლაში უკვე მეოთხედ აჯობა და ტიტულმარაგის „დამრგვალებასთან" ერთად საბანკო ანგარიშზე 52 ათასი დოლარიც დაისვა.

შეგახსენებთ, რომ სამგზის როლანგაროსოსანმა ბრაზილიელმა წლეულს ერთ ფინალში (სახელდობრ, სამი კვირის წინ ვინადელმაროზაზე) უკვე ითამაშა და ღონიერ ჩილელ ფერნანდო გონსალესთან დათმო. კალიერის კი ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ტიტული მოუნაგრავს — ეგებ არც თქვენ დაგვიწყებიათ და — შარშან აკაპულკოში.

ლევან ძელაურაძე

ფული შენი, მრბოლიც შენი
ჯორდანს თავისი დაე[illegible]

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

ედი ჯორდანი, ეტყობა, წლეულს პირველად არ მოაწყობს თავისი გუნდის წინასასეზონო პრეზენტაციას. პომპეზური ღონისძიებების მოყვარულ 55 წლის ბოსს ახლა საამისოდ არ სცხელა.

შარშანდელი მეცხრე ადგილი „ჯორდანისთვის" ბოლო ათ წელში ყველაზე უსახური შედეგია. ამდენად, ირლანდიელი შეფის უმთავრესი საზრუნავი სატურნირო ფსკერიდან თავის დაღწევაა. ისე, ამ ჩაფლავებაში უნებლიედ მისი ხელიც ურევია. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ 2003 წელს ქულათა დარიცხვის ახალი წესი შემოიღო — ყოველ ეტაპზე ჩათვლას ექვსის ნაცვლად რვა პილოტი იღებს და ქულებიც ახლებურად ნაწილდება. ჯორდანი ამ ეპოქალური სიახლის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო, შედეგად კი ყველაზე მეტად სწორედ იგი დაზარალდა: მის საჯინიბოს ძველი სისტემით 10 ქულა ექნებოდა და კონსტრუქტორთა თასზე მეხუთე ადგილს დაიკავებდა, ახლა კი 13 ქულით ბოლოსწინა, მეცხრე საფეხურზე აღმოჩნდა.

ედიმ ჩვეულებას არ უღალატა და ახლაც კარგა ხანს აკვირდებოდა რამდენიმე მრბოლს, ვიდრე ჯანკარლო ფიზიკელას და რალფ ფირმენის შემცვლელებს შეარჩევდა. კანდიდატები ბლომად იყვნენ: გამოცდილები — ნიკ ჰაიდფელდი, იოს ფერსტაპენი, ალან მაკნიში, თავად ფირმენი, რომელსაც ადგილის შენარჩუნების იმედი ჰქონდა და მეტნაკლებად ცნობილები — იაროსლავ იანიში, ჯორჯო პანტანო, ტიმო გლოკი, ბას ლეინდერსი. გაჭიანურებული ყოყმანის შემდეგ არჩევანი ოთხ სეზონში ნარბოლ ჰაიდფელდზე და მასზე ერთი წლით უმცროს პანტანოზე შეჩერდა.

25 წლის იტალიელი „ჯორდანის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას შემთხვევითობად არ თვლის: „მე ეს შანსი დავიმსახურე. გუნდი ტყუილად არ მაკვირდებოდა შარშან ფორმულა 3000-ში გამოსვლისას. ცხადია, მე ჩემი სპონსორების ფულიც დამეხმარა, ამის დაფარვას აზრი არ აქვს. რას იზამ, ასეთია დღევანდელი რეალობა — ბევრ გუნდს ფულის პრობლემა აწუხებს და ეს ამბავი მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადამწყვეტ როლსაც თამაშობს." ამბობენ, ჯორჯოსთვის ჯორდანის საჯინიბოში ადგილის საყიდლად იტალიურმა ტანსაცმლის ერთ-ერთმა ცნობილმა ფირმამ სულ მცირე, ხუთი მილიონი ევრო გადაიხადაო.

ამ დღეებში სათადარიგო მძღოლის ვინაობაც გაირკვა. 21 წლის ტიმო გლოკი „ჯორდანის" საჭეს პირველად იანვრის ბოლოს ბარსელონაში ტესტებისას მიუჯდა და მართალია, პირველივე დღეს ავარია შეემთხვა, მალე ისე გაუშინაურდა თითქმის 900-ცხენისძალიან ბედაურს და ტექნიკის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, რომ ჯორდანმა „ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა გერმანელი მრბოლი" უწოდა და თავისი მესამე მანქანა უყოყმანოდ ანდო. თუმც ეჭვია, რომ ამჯერადაც საქმე უფულოდ არ გაჩარხულა. ტიმომ შარშან ფორმულა 3-ის ევროსერიაში სამი ეტაპი მოიგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

2004 წლის ბოლიდის დებიუტი ერთი თვის წინ ინგლისში, სილვერსტოუნის ტრასაზე შედგა. მას აქეთ სატესტო ორკვირეული მიიწურა, „ფორდის" უკანასკნელი მოდიფიკაციის ძრავიან „ჯორდანებს" კი ჯერაც აწუხებთ სისწრაფის ნაკლებობა და თითქმის ერთთავად ყველაზე უკან არიან.

ამის მიუხედავად, ედი ჯორდანს უიმედობისა არაფერი ეტყობა: „წლეულს ჩვენი ფინანსური მდგომარეობა „ფორდთან" ალიანსის შედეგად გაცილებით მყარი გახდა. ახალი ძრავაც ბევრად უკეთესია და ბოლიდის აეროდინამიკაც ჩინებული. შესაძლოა, შარშან შეცდომები დავუშვით, მაგრამ უკან გახედვა აღარ მინდა. მთავარი ისაა, რომ წლევანდელი მანქანა წინგადადგმული ნაბიჯია. განვლილი სეზონი მართლაც ცუდი იყო, მხოლოდ მეცხრე ვიყავით, მანამდე კი ჩემპიონატს პირველ ექვსეულში ვამთავრებდით. გპირდებით, რომ ამ დონეს 2004 წელს დავუბრუნდებით, თუმც ჩვენი მეტოქეები ძალიან ძლიერები არიან."

გია ახალაძე

ჯორდანი

გუნდი დაარსდა 1980 წელს
(„ედი ჯორდან რეისინგი")
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1991 წლიდან
213 რბოლა; 4 მოგება; 2 პოული;
2 უსწრაფესი წრე; 274 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი — მესამე ადგილი (1999)
2003 წელს — მეცხრე ადგილი (13 ქულა)
გუნდის მფლობელი **ედი ჯორდანი**
ტექნიკური დირექტორი **ჰარი ანდერსონი**
მთავარი კონსტრუქტორი **ანრი დიურანი**
ბოლიდი **„ჯორდან EJ14"**
ძრავა **„ფორდ კოსუორტ CR-6" (V10)**
საბურავები **„ბრიჯსტოუნი"**
ტესტ-პილოტი **ტიმო გლოკი** (გერმანია, 21 წლის)



ნიკ ჰაიდფელდი

გერმანია

დაიბადა 1977 წლის 10 მაისს მიონხენგლადბახში
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 164 სმ; წონა 59კგ
დებიუტი ფ 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)
66 რბოლა; 25 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მერვე ადგილი (2001)
2003 წელს — XIV ადგილი (6 ქულა)
ასპარეზობდა „პროსტში" (2000), „ზაუბერში" (2001-03)
„ჯორდანშია" 2004 წლიდან



ჯორჯო პანტანო

იტალია

დაიბადა 1979 წლის 4 თებერვალს პადუაში
ცხოვრობს ლონდონსა და პადუაში
უცოლო
ფორმულა 1-ის დებიუტანტი
2002 წლის ფორმულა 3000-ის ვიცე-ჩემპიონი (სამი მოგება, 54 ქულა)
2003 წელს დაიკავა მესამე ადგილი (ორი მოგება, 41 ქულა)

JORDAN PoweredBy Ford

NHL რეგულარული ჩემპიონატი

29 თებერვალი

ჩიკაგო 2:2 ფლორიდა
1:0 0:1 1:1 0:0
ატლანტა 3:2 რეინჯერსი
1:1 1:0 1:1
ანაჰაიმი 6:3 ლოს ანჯელესი
3:1 0:2 3:0
მინესოტა 3:3 კაროლინა
0:0 1:1 2:2 0:0
კალგარი 4:2 ფინიქსი
3:1 0:1 1:0
დალასი 5:4 ედმონტონი
1:1 1:3 2:0 1:0
აილენდერსი 2:3 პიტსბურგი
1:0 1:2 0:0 0:1
დეტროიტი 4:2 ფილადელფია
1:0 2:2 1:0
სან ხოსე 1:0 სენტ ლუისი
0:0 0:0 1:0



REUTERS ნიუ იორკიდან

ამერიკის თასი

ნიუ იორკში ტანმოვარჯიშეთა ამერიკის თასი მიმდინარეობს. უკრაინელი ირინა იაროცკაია ძელზე დაქრის და მალაყებს ჭიმავს. ოლიმპიურ წელიწადს განსაკუთრებით კარგ ფორმაში უნდა იყოს.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

აი, კანტო

სად არის ერიკ კანტონათ, მოიკითხავენ ხოლმე ფეხბურთის მოყვარულები. სად არის და, ან კინოში იღებენ, ანაც კოპაკაბანას პლაჟზე თამაშობს ფეხბურთს. რიო დე ჟანეიროში პლაჟის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს და იტალიელები ფრანგებს უგებენ, ერიკი კი მაკრატელას ურტყამს.

ინდოთა რბოლა

ჩრდილო ინდოეთში მოტოკროსი გახურებულა. ჩანდიგარის გზებზე ბარე 13 დარჩენილი ინდოელი მოტომხედარი და კიდევ მეტი უცხოელი შებმულა. ეს ცათამფრენი მხედარი კალიფორნიელი რენე დილონი გახლავთ.

REUTERS ჩანდიგარიდან

სლიემას მარათონი

სლიემაში მალტის ტრადიციული მარათონი გაიმართა და ფინიშის სწორზე მორბენლებს ეს პატარა ბიჭი გადმოუხტა და მათთან ერთად გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მარათონი კი იტალიაში მოვარჯიშე მაროკოელმა აბდულ კაბირ მარჩანემ მოიგო.

REUTERS სლიემიდან

კანდიდატი და სერ ჩარლზი

REUTERS ატლანტიდან

ამერიკაში გახურებულია საპრეზიდენტო კამპანია. დემოკრატთაგან ლიდერად ჯონ კერის ვცნობთ, მაგრამ არის სხვაც — სენატორი ჯონ ედვარდსი, რომელიც ფეხდაფეხ სდევს თავის თანაპარტიელს. ატლანტაში, „ფოქსის“ თეატრში მისტერ ედვარდსი კალათბურთის დიდ კაცთან, ჩარლზ ბარკლისთან ერთად გამოჩენილა. მეტი რალა გინდა...

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოდის 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge